ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 26 აგვისტო, №9 (6554)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

სპორტული მოედნის პრეზენტაციაზე სოფელ გავაზში

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა, პირველ მოადგილესთან ზურაბ ნემსაძესთან ერთად სოფელ გავაზში მინი სპორტული მოედანი გახსნა.

ახალი სპორტული მოედნის პრეზენტაციასთან დაკავშირებით საფეხბურთო მატჩი შედგა სოფელ გავაზისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებს შორის. ადგილობრივი ფეხბურთის გუნდს საჩუქრად გადაეცა ბურთები.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, ერთერთი ძირითადი პრიორიტეტია.

...კიდევ არსებობენ ადამიანები, სიკეთით აღსავსენი, რომლებიც უხმაუროდ, დიდი რუდუნებით აკეთებენ ერისათვის სასარგებლო საქმეებს

ჩემი მყუდრო თავშესაფარი ყვარელია, სადაც გავატარე 55 წელი, სადაც იყო სიხარულიცა და ტკივილიც, წარმატებაც და წარუმატებლობაც.

ცალუღელად დარჩენილი ასაკიანი ქალი სეზონური მაცხოვრებელი გავხდი. ზამთარს თბილისში შვილებთან და შვილიშვილებთან ვატარებ. დიდი სიყვარულისა და სითბოს მიუხედავად მოუთმენლად ველი ხოლმე გაზაფხულის დადგომას. ჩიტების მსგავსად ჩემი ბუდისაკენ მოვეშურები. ასე მოხდა ამჯერადაც. ჩემი სახლი – ჩემი სიხარულისა და სევდის უტყვი მოწმე.

ყველაფერი ძველებურად გამოიყურება, მხოლოდ მტვერი დასდებია, რაც ვერაფრით ფარავს ამ საგნებთან დაკავშირებულ მოგონებებს.

ვზივარ აივანზე და მონატრებული შევყურებ ილიას კალმით ნაკურთხ მთებს. ასე მგონია, არც მთა, არ ცა და არც მიწა არსად არ არის ასეთი მომხიბვლელი და თბილი, როგორც აქ, ილიას ნატერფალზე.

ფიქრი ძახილმა შემაწყვეტინა. კარებთან ჩემი მეგობარი ელენე იდგა. ისევ ისეთი ღიმილით, თუმცა სახეზე ნოჭები გასჩენოდა. გავიხარეთ მეგობრებმა. ყველაფერი მაინტერესებდა რაც ყვარელში ხდებოდა.

ელენე მესაუბრებოდა ქალაქში მომხდარ სიახლეებზე. მითხრა, საოცარი გამოცოცხლება იგრძნობა კულტურის სფეროში. ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრში სიცოცხლე ჩქეფსო – გამიხარდა... ვკითხე ხელმძღვანელის ვინაობა. ახალგაზრდა ქალია, მაია ზარდიაშვილი, – მიპასუხა ელენემ, შემდეგ დასძინა: წარმოშობით ახალსოფლიდან არის.

გვარი მეცნო. თავს ძალა დავატანე, რათა გამეხსენებინა, თუ რა მაკავშირებდა ამ გვართან. უცებ გაიხსნა მოგონებათა სარკმელი და თვალწინ დამიდგა თხილისწყაროს სკოლის დირექტორი – მომხიბვლელი გარეგნობისა და ვაჟკაცობის ეტალონი ზაურ ზარდიაშვილი. ალბათ მისი ქალიშვილია, – გავიფიქრე და გავხსენი ფიქრთა გორგალი.

ეს იყო დიდი ხნის წინ. მაშინ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი ვიყავი. ვმუშაობდი განათლების განყოფილებაში მეთოდური კაბინეტის გამგედ. ერთ დღეს დამიძახა განყოფილების გამგემ – ან გასვენებულმა ბატონმა რაფიელ შავგულიძემ, გამომიწოდა თაბახის ფურცელი და მითხრა: უსახელო საჩივარია, მაგრამ რეაგირება მაინც უნდა მოვახდინოთ, ამიტომ უნდა წახვიდეთ თხილისწყაროში. ხელში მეჭირა ეს შეურაცხმყოფელი საჩივარი, აგრესიულად განვეწყე უსახელო ავტორისადმი. რატომ არ აწერს ხელს, რისი ეშინია? თუ მართლა აწუხებს სკოლის ბედი, რატომ ღიად არ უპირისპირდება სკოლის დირექტორს? ვინ იცის, პირში ერთგულებას როგორ ეფიცება, ზურგთ უკან კი... შემზარა ამ ფიქრმა და უნებურად კეთილად განმაწყო სკოლის დირექტორის მიმართ.

მე და ჩემმა თანამხლებლებმა შევხსენით სკოლის კარები. თვალში გვეცა სისუფთავე და იქ გამეფებული სიმყუდროვე. ღიმილით შემოგვეგება სკოლის დირექტორი, გავეცანით სკოლის მუშაობის ამსახველ მასალებს. რა თქმა უნდა, იყო ნაკლიც, მაგრამ გაკეთებული გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

გილოცავთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას – მარიამობას!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამ სოფლიდან გასვლას მიძინება ეწოდება. ეს უდიდესი მოვლენა წმინდა ეკლესიამ დღესასწაულად აქცია. ამ ქვეყნად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ცხოვრება იყო დაფარული და მშვიდი, მხოლოდ რამდენიმე მახლობელი თუ იღებდა მისგან გამოუთქმელ ნუგეშსა და დიდ სულიერ სარგებლობას, მაგრამ როდესაც იგი გარდავიდა ამ სოფლიდან და შევიდა დიდებას შინა ძისა თვისისა, მაშინ იგი შექმნა მთელი ქვეყნისათვის წყარო მადლისა და კარი მოწყალებისა.

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის არსზე და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრება ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ***ბენიამინ (ჩიხორლიშვილი).***

– რაში მდგმარეობს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა?

– ყველა საეკლესიო დღესასწაულს, თავისი ღრმა შინაარსი აქვს. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის უმთავრესი შინაარსი კი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განდიდება და წუთისოფლიდან დიდებით გასვლაა. ეს პატივი ღირსეულად ეკუთვნის ღვთისმშობელს. მაინც ვინ იყო იგი და როგორ დაიმსახურა მან ესოდენი პატივი?

ყოვლადწმინდა მარიამისაგან იშვა განკაცებული მხსნელი სოფლისა, მაცხოვრის განსახორციელებლად უფალმა გამოარჩია დაუტევნელის დამტევნელი, ქალწული ყოვლადწმიდა, რომლის შრომაც, ფაქტობრივად არის მოსაზღვრე დღესასწაული, მოსაზღვრე მოვლენა, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს ძველ და ახალ აღთქმას, რამეთუ იშვა წმიდა ქალწული, რომლისგანაც განხორციელდა შემდეგ შემოქმედი ცისა და ქვეყნისა. ამის გამო ღვთისმშობელი აღემატება ქერუბიმ-სერაფიმებს, რადგან მის წიაღში იმყოფებოდა თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე. რა თქმა უნდა, დიდი დედის, ესოდენ ზეაღმატებული პიროვნების ამ სოფლიდან გასვლა უდიდესი მოვლენა უნდა ყოფილიყო და მართლაც განდიდებას იმსახურებს, მისი გასვლა ფაქტობრივად დღესასწაულად გადაიქცა, ზეიმის მიზეზად, რადგან მოციქულებს და მათი სახით კი კაცობრიობას, აღუთქვა, რომ ყოველთვის იქნებოდა მათ შემწედ და მფარველად, და აღასრულა კიდეც. ეს არის უმთავრესი არსი და დატვირთვა ღვთისმშობლის მიძინებისა. ფაქტობრივად ეს იყო გარდაცვალება, მაგრამ იმდენად საზეიმო გახლდათ ეს მოვლენა, რომ მიძინება დაერქვა. იმდენად დიადი რამ იყო ღვთისმშობლის ამ სოფლიდან გასვლა, რომ თვით ეშმაკთა ძალნიც კი შეძრწუნდნენ.

ყველა საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობით, თანამონაწილენი ვხდებით იმ მოვლენისა, რასაც ამა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულით განვადიდებთ. ყველა საეკლესიო მოვლენა ხომ თავისი მადლითა და არსით ყოველწლიურად მეორდება, ამ შემთხვევაში ღვთისმშობლის მიძინების განახლება, იმ დღის მისტიკურად გამეორება, ყოველი მიძინების დღესასწაულზე ხდება. მასში მონაწილეობით კი მორწმუნენი საღმთო სასწაულსა და მის მადლს საკუთარ თავზე განვიცდით და ზიარების მიღებით მისტიკურად ვუერთდებით ამ დღესასწაულს.

– რატომ ეწოდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრებიდან გასვლას მიძინება?

– რადგან წუთისოფლიდან გასვლის შესახებ ღვთისმშობლისთვის ცნობილი იყო, წმინდა ქალწული თვითონ ითხოვდა ამქვეყნიდან გასვლას და ანგელოზისგან ეუწყა, რომ მისი წუთისოფლიდან გასვლის ჟამი დადგა. ფაქტობრივად გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა წმინდა ქალწულს ამის შესახებ და ღვთისმშობელი მომზადებული გავიდა ამ ქვეყნიდან. დედა ღვთისა ისეთი ნათელი და

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

და ეს იარეები ჩვენი საერთო ძალისხმევით, ეროვნული აზროვნებით, განათლებითა და დაუღალავი შრომით, ერის მამის ნაანდერძევი გზით სიარულის წყალობით უნდა მოვიშუშოთ

დედა – ქალბატონი მანია, ბიძა– ბატონი დავითი უაღრესად უნიჭიერესი ადამიანები იყვნენ ყვარლის რაიონის მე-20 საუკუნის ისტორიაში, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საქართველოს ისტორიის ცოდნითა და ქართულ ენაზე მჭერმეტყველებით. ქალბატონი მანია ათეული წლები ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად მუშაობდა შილდის პირველ საშუალო სკოლაში და მისი გაკვეთილები, საუბარი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებაზე უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მოსწავლეებს, ნებისმიერი ასაკის ადამიანს. სამწუხაროდ, ასეთი პედაგოგები ერთეულებიღა შემორჩა განათლების სისტემას.

ბატონ დავითს კი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელის პოსტი ეკავა გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში, ყვარლის რაიონის განათლების და კულტურის განყოფილებებში, უდიდესი წვლილი მიუძღვის ყვარლის რაიონის განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში.

პიროვნება, რომლის ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანების შთამომავალია და ამიტომაც მოვიხსენიე მისი აღმზრდელი და ნათელი გზის გამკვალავი ადამიანები, ვინაიდან მათი მიბაძვით იბრძვის, აგრძელებს ცხოვრებას და კიდევ თავდაუზოგავად შრომობს შთამომავლობისათვის.

ეს ადამიანი გახლავთ ალიმან ლაფაჩიშვილი, საუკეთესო პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული, შესანიშნავი წერის მანერით და აზროვნებით, რომელსაც ამას წინათ გაზეთ „ყვარლის“

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

„წარსულის ტკივილი, რომელიც დამშვიდების უფლებას არ გაძლევს და სიხარული, რომელიც დროებით ყველაფერს გავიწყებს“

დიახ, ყველაფერი დროებითია, – სიცოცხლეც, ტკივილიც და სიხარულიც, – ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება, ზოგჯერ ტკივილით, ზოგჯერ უმტკივნეულოდ და ვცხოვრობთ მომავლისთვის, მომავალი თაობებისთვის, ოჯახისთვის. სიცოცხლე ხომ ჩიტივითაა, რომელიც არ იცი როდის გაგიფრინდება. ასე იყო ერთი კაფანდარა და ლამაზი გოგოს ცხოვრებაც, სიყვარულზე და თავის ცხოვრებაზე შეყვარებული გოგოსი, რომელიც ალბათ ვერ წარმოიდგენდა თუ ასეთი ბედი ექნებოდა და ახალგაზრდა ასაკში იმ ქვეყანაში დაიდებდა ბინას. ყოველთვის ღიმილიანი სახით სკოლიდან გამოსული ახალგაზრდა მასწავლებელი დინჯი ნაბიჯებით მიუყვებოდა ჭავჭავაძის ქუჩას და გამვლელ-გამომვლელს დიდი სიყვარულით მოიკითხავდა. ეს ასაკით პატარა, დიდთვალება და ლამაზი გოგო თამუნა კანანაძე იყო. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თამუნა თავისი სურვილით დაეუფლა იტალიურ ენას და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის როლსაც ასრულებდა. ტკბილი სალმის გარდა, მას ყველა იცნობდა იმით, რომ

გაგრძელება მე-8 გვ.-ზე

გილოცავთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას – მარიამობას!



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მშვიდი სიხარულით გარდავიდა ამა სოფლიდან, რომ მისი გარდაცვალება მოციქულებმა მიძინებად აღიქვეს. ამიტომაც ეწოდა მის ამ მდგომარეობას მიძინება და არა გარდაცვალება.

– ჯვარცმულმა უფალმა თავის ყოვლადწმინდა დედაზე ზრუნვა იოანე ღვთისმეტყველს დაავალა. საყვარელმა მოციქულმა თავის სახლში წაიყვანა ღვთისმშობელი და ძესავით ზრუნავდა მასზე, მის მიძინებამდე გვერდიდან არ მოშორებია.

– რატომ გამოარჩია უფალმა მოციქულთაგან სწორედ იოანე ღვთისმეტყველი?

– როდესაც უფლის ჯვარცმის დრო მოახლოვდა, ვიცით, რომ მაცხოვარი შიშის გამო ყველა მოციქულმა მიატოვა, იოანე ღვთისმეტყველის გარდა. იოანე იყო ერთადერთი მოციქული, ვინც ბოლომდე დარჩა მასთან და არ განეშორა მაცხოვარს. მოციქულთაგან მხოლოდ ის იდგა უფლის ჯვარცმასთან ყოვლადწმინდა ღთისმშობელთან ერთად. იოანე სიყვარულის მოციქულადაა აღიარებული მისი უსაზღვრო სიყვარულის გამო. სწორედ ამოტომაც ჩააბარა უფალმა თავისი ყოვლადწმინდა დედა, რათა უდიდესი მზრუნველობა გამოეჩინა მის მიმართ და მართლაც, სიყვარულის მოციქული – იოანე ღვთისმეტყველი მზრუნველობას არ აკლებდა დედა ღვთისას, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, სიონის მთაზე, მის სახლში ცხოვრობდა.

– რატომ ვეგებებით ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს ორკვირიანი მარხვით?

– ყველა მარხვას თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს. დიდ მარხვას უფრო მწუხარება შვენის, რადგან ამ პერიოდში ისეთი მოვლენები იხსენიება, როგორიც ადამის სამოთხიდან განდევნაა. მარხვის ბოლო შვიდეული კი, ვნების კვირაა, როდესაც მაცხოვრის გაცემა, ვნება და ჯვარცმა მოხდა. სულ სხვა ხასიათი აქვს ქრისტეშობის მარხვას. იგი სიხარულითაა გაჯერებული. ამ მარხვით ვემზადებით ქრისტეს შობის ღირსეულად შესახვედრად. ასევე სიხარულითაა გაჯერებული ღვთისმშობლის მიძინების მარხვაც. ამ მარხვითაც ხომ ძალზე მნიშვნელოვანი, უდიდესი შინაარსის სადღესასწაულო მოვლენის შესახვედრად ვემზადებით, რათა რაც შეიძლება სულიერად ამაღლებული შევხვდეთ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს.

მარხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულიერი მოღვაწეობის სწორად, მართებულად წარმართვისათვის. ვიცით, რომ პირველი ცოდვით დაცემა მარხვის დარღვევა იყო. როდესაც უფალი ამ ქვეყნად მოდის, თავის მოღვაწეობას მარხვით იწყებს, რითაც მარხვის აუცილებლობასა და მის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. თითოეული ქრისტიანის მოღვაწეობის საწყისი ფაზა სწორედ მარხვა უნდა იყოს. მარხვა არ გულისხმობს მხოლოდ გარკვეული საკვების მიღებისაგან თავშეკავებას; მარხვა, უპირველესად, გონივრული უნდა იყოს, გონების მიერ დაცული. მაგრამ გონებას არ ძალუძს შენახვა მარხვისა, თუ ადამიანმა პირველ ყოვლისა არ დაიცვა ფიზიკური მარხვა– მარხვა საკვებით. ბასილი დიდი სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას: ვისაც შეუძლია, იმარხულოს გონებით ისე, რომ არ დაიცვას ფიზიკური მარხვა, დაე, იმარხულოს, მაგრამ ასეთი ადამიანი ჯერ არ მოძებნილა. ამიტომ აუცილებელია ფიზიკური, ხორციელი მარხვაცო. შესაძლოა ეს უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ თუ ადამიანი პრაქტიკულად არ აღასრულებს იძულებას, თავშეკავებას, ვერ იგრძნობს მარხვის მნიშვნელობას. ფიზიკური და სულიერი მარხვა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩვენ, ადამიანები, ხომ ხორცისა და სულისგან შევდგებით. ფიზიკური მარხვა სულიერი მარხვის დაცვაში გვეხმარება. ეს არის ღვთისმშობლის მიძინების მარხვის დაცვის მიზანიც – გონება მეტად მომზადებული და ამაღლებული შეხვდეს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს.

– განკაცებული უფლის მიწიერი ცხოვრებიდანაც ხომ ჩანს, რომ ადამიანები ღთისმშობლისაგან მეოხებას იღებდნენ. გავიხსენოთ გალილეის კანაში ქორწილის ჟამს ქმნილი სასწაული, რომელიც უფალმა სწორედ თავისი ყოვლადწმინდა დედის თხოვნით აღასრულა...

–გალილეის კანაში აღსრულებული სასწაული პირველი იყო, მაგრამ წინასწარმეტყველების მიხედვით იქ არ უნდა აღსრულებულიყო. როდესაც ღვთისმშობელი მაცხოვარს სთხოვს, წყალი ღვინოდ გადააქციოს, რადგან ღვინო შემოაკლდათ მექორწილეებს, ის მიუგებს – ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარაო, მაგრამ ამის მიუხედავად, იმხელა სიყვარულით, პატივისცემითა და ვალდებულებებით იყო გამსჭვალული უფალი თავისი ყოვლადწმინდა დედის მიმართა, რადგან მან სთხოვა, აღასრულა კიდეც ეს სასწაული. ცხადია, ეს იმას მიანიშნებს, რომ ყოვლადწმინდა მარიამს სიტყვა ეთქმის ღვთის წინაშე და უდიდესი მეოხი და შუამდგომელია ღმერთსა და ადამიანს შორის. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, როგორც ეს მის ტროპარშია ნათქვამი, „მიცვალებასა სოფელი არა დაუტევა და იგი შეიქმნა მთელი ქვეყნიერებისათვის წყარო მადლისა და კარი მოწყალეობისა. მრავალი მაგალითი ქრისტიანთა ცხოვრებიდან მოწმობს, თუ რა დიდი მადლი და წყალობა აქვს ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს.

– რატომ იწოდება ღვთისმშობელი ახალ ევად?

– იმიტომ, რომ ძველი, პირველი ევას შეცოდება სწორედ ღვთისმშობელმა გამოისყიდა. უფლის განხორციელება ადამიანის პატივის აღსადგენად მოხდა. თვით მაცხოვარსაც ახალი ადამი ეწოდა. მოვიდა, ვითარცა ახალი ადამი. ძველმა, პირველმა ადამმა სცოდა, ხოლო ახალმა ადამმა – მაცხოვარმა ძველი ადამის ცოდვის შედეგებისგან გამოისყიდა კაცობრიობა – როგორც ძველი ადამისგან შემოვიდა სიკვდილი ამქვეყნად, ისე ახალი ადამისგან შემოვიდა მარადიული სიცოცხლე, ასევე შეიძლება შევადაროთ ძველ ევას ღვთისმშობელი – პირველმა, ძველმა ევამ შელახა პატივი ადამიანისა, ღვთისმშობელმა კი აღადგინა ეს პატივი, მოგვევლინა რა, ვითარცა ახალი ევა.

– როგორც წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანებს: „ადამის მოდგმაში მხოლოდ ღვთისმშობელი გახდა ღირსი, მიეღო სიტყვა ღმრთისა და ღვთის უდიდესი საიდუმლოს განხორციელებისათვის ემსახურა.“ რით მოიპოვა წმინდა მარიამმა ესოდენ დიდი წყალობა და მადლი ღვთისა? რით გამოირჩეოდა იგი მთელი კაცობრიობისაგან?

– ძველ აღთქმაში არსებული წესის თანახმად, ყველა დედაკაცი უნდა დაწინდულიყო და ეშვა შვილი, რადგან ებრაელი ერი მესიას ელოდა, უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა და ოჯახი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, ღვთისაგან დაწყევლილად მიაჩნდათ. მაგრამ ღვთისმშობელმა, როდესაც ტაძარში იზრდებოდა, საიდუმლოდ დადო ქალწულობის აღთქმა და ფაქტობრივად მონაზონებრივ ტვირთს შეუდგა, ძველ აღთქმაში, ღვთისმშობლის გარდა, ეს არავის განუზრახავს, იმდენად ამაღლებული გონება ჰქონდა წმინდა ქალწულს. სწორედ ასეთი ამაღლებული აზრისა და ღვაწლის გამო გამოარჩია უფალმა ღვთისმშობელი მთელ კაცობრიობაში ღვთის განკაცების ამ უდიდესი საიდუმლოს განხორციელებისათვის. თავისი ცხოვრების წესით ის იყო თავმდაბალი და უცოდველი ადამიანი. მისი მსგავსი სიწმინდე დედამიწაზე არც ერთ ადამიანს არ ჰქონია. პირველმშობელთა ცოდვის გარდა, რომელიც გენეტიკურად დაჰყვება ყველა ადამიანს, მას არავითარი ცოდვა არ ჰქონია. ეს ცოდვა კი უფალმა განწმინდა მასში თავისი ჩასახვით.

– ღვთისმშობლის ქალწულობაზეც ვისაუბროთ...

– ის ქალწული იყო შობამდე, შობის დროს, რამეთუ სასწაულებრივი იყო ეს შობა, და შობის შემდგომაც. ვიცით, რომ ეკლესიას აქვს დოგმატები და ერთ-ერთი დოგმატი არის სწორედ ის, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარადის ქალწულია.

– რაზე მიანიშნებს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების სიმრავლე?

– სასწაულმოქმედი ხატებისა და ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სასწაულების სიმრავლე იმაზე მიგვანიშნებს, რომ დედა ღვთისა განსაკუთრებული მეოხი და მფარველია მთელი კაცობრიობისა. ვთქვით კიდეც, რომ ღვთისმშობლის ადამიანებისადმი განსაკუთრებული მეოხება და მფარველობა ვლინდება აურაცხელი სასწაულით, რომლებიც ყველგან, მთელ დედამიწაზე აღესრულება ყოვლადწმინდა ქალწულის მიერ.

მის მიერ აღსრულებულ მრავალ სასწაულთაგან აღსანიშნავია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გამოცხადება პოჩაევოში და მის მიერ დატოვებული ნატერფალი.

უკრაინაში, იმ მთაზე, სადაც ახლა პოჩაევის მიძინების ტაძარია, 1340 წელს ორი მონაზონი დასახლდა. ერთი მათგანი ლოცვის მერე მთის მწვერვალზე ავიდა და უეცრად დაინახა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომელიც ქვაზე იდგა და ღვთაებრივი ცეცხლით იყო გარემოცული. მან მეორე ბერს დაუძახა, რომელიც ასევე ღირსი შეიქმნა სასწაულის ხილვისა. მესამე მოწამე ამ ხილვისა იყო მწყემსი ივანე, რომელმაც მთაზე თვალი მოჰკრა უჩვეულო ნათელს, ავიდა ზემოთ და მონაზვნებთან ერთად ადიდა დედა უფლისა. მას მერე, რაც ჩვენება შეწყდა, იმ ადგილას, სადაც ღვთისმშობელი იდგა, ქვაზე მისი ნატერფალი დააჩნდა. ის დღემდეა შემონახული და ყოველთვის წყლით არის სავსე, რომელსაც ეს ქვა სასწაულებრივად გამოსცემს. წყალი არ წყდება, მიუხედავად იმისა, რომ მომლოცველები ჭურჭელს ივსებენ და ყოველგვარი სნეულებისას რწმენით იღებენ და იკურნებიან.

– რას ნიშნავს სიტყვა „მიძინება?“

– სიტყვა „მიძინება“ ნიშნავს სიკვდილს, სიკვდილისა და ამაღლების მომენტს, როგორც სულისა ასევე სხეულის ზეცად ასვლისა ღვთის სასუფეველში.

თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის ისტორია მოცემულია იოანე დამასკელის წიგნში „მეორე საქებარი სიტყვა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ“. ის წერდა, რომ რამდენიმე ფაქტია ცნობილი ღვთისმშობლის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ცნობილია, რომ სამი დღის განმავლობაში ისმოდა ანგელოზთა გალობა იმ ადგილას, სადაც ღვთისმშობელი იყო დაკრძალული და როცა ხმები ჩაცხრა და აკლდამა გაიხსნა, ღვთისმშობელის ცხედარი არ აღმოჩნდა, მაცხოვარმა ყოვლადწმინდა მარიამის სხეულიც ზეცას აღამაღლა.

– რას გვეტყვით მიძინების დღესასწაულის სულიერ მნიშვნელობაზე?

– ეკლესია ღვთისმშობლის სიკვდილს მიძინებას უწოდებს და არა სიკვდილს. ამიტომ ჩვეულებრივი ადამიანური სიკვდილი, როცა სხეული უბრუნდება მიწას, სული კი ღმერთს, მადლიანს არ შეხებია, რომ ჯოჯოხეთის საშინელებები არ ენახა, უფალი თვითონ გარდამოხდა და მიირქვა ყოვლადწმიდა მარიამის სული, რომელიც შემდეგ, ანგელოზთა გალობით, ზეცას აღამაღლა. მესამე დღეს კი მისი სხეულიც აღამაღლა ზეცას.

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს „მეორე აღდგომასაც“ უწოდებენ. ეს იმას მოწმობს, რომ ღვთისმშობლის მიძინება, ისევე როგორც ქრისტეს აღდგომა, გადამრჩენია მთელი კაცობრიობისათვის, როგორც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“. ამაღლებული მაცხოვრის მსგავსად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმაც, მოციქულების წინაშე გამოჩენისას, პირობა დადო, რომ იქნებოდა კაცობრიობის გვერდით „ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ისევე როგორც უფალი, დედა ღვთისმშობელიც ჩვენთანაა „ყოველთა დღეთა“ და თაყვანს ვცემთ მას და ვმადლობთ!

ყველას არ ესმის ის ძალა და მადლი, რომელიც გარდამოდის საქართველოზე, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი განსაკუთრებით იფარავს ჩვენს ქვეყანას და საქართველო არის მისი წილხვედრი...

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, როცა მოციქულები ტრაპეზზე იკრიბებოდნენ, ორ სავარძელს თავისუფალს ტოვებდნენ, ერთს – მაცხოვრისთვის და მეორეს ღვთისმშობლისთვის. მოციქულებს სწამდათ, რომ მაცხოვარი და დედა ღვთისმშობელი უხილავად მათთან იყვნენ.

დღევანდელი დღის ტროპარში ვკითხულობთ: „შობასა ქალწულობა დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე“... ეს იმას ნიშნავს, რომ დედა ღვთისამ არც გარდაცვალების მერე დატოვა ქვეყანა და განსაკუთრებით თავისი წილხვედრი საქართველო და ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის.

– რა მცნება, რა მაგალითი დაგვიტოვა ღვთისმშობელმა ადამიანებს?

– მან დატოვა მაგალითი: სახარებაში ნათქვამია მასზე, რომ ყოველი სიტყვა ქრისტეს შესახებ და, რა თქმა უნდა, ქრისტეს ყოველი სიტყვა მან გულში დაიმარხა, როგორც განძი, როგორც ყველაზე ძვირფასი რამ, რაც მას ჰქონდა და, გალილეის კანაში მან მსახურებს უთხრა: რაც თქვა ქრისტემ, გააკეთეთ... და მათ გააკეთეს და წყალი გახდა ღვთის სასუფევლის კარგი ღვინო. ღვთისმშობელი თითოეულ ჩვენთაგანს გვიტოვებს ამ მცნებას, რომ ყველამ გავიგოთ ქრისტეს სიტყვა, მოვუსმინოთ მას და ნუ ვიქნებით მხოლოდ მსმენელნი, შევასრულოთ იგი და მაშინ ყველაფერი მიწიერი გახდება ზეციური, მარადიული, გარდაიქმნება და განდიდდება.

– და ბოლოს ისიც გავიხსენოთ როგორ მოხდა მიძინება ღვთისმშობლისა.

– გადმოცემით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მაცხოვრის ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს მიიძინა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში. როგორც ვიცით, თავისი ნეტარი მიძინების შესახებ წინასწარ სამი დღით ადრე, ეუწყა მთავარანგელოზ გაბრიელისგან. ამ უწყებამ სიხარულით აღავსო დედა ღვთისა. უფალს შესთხოვა, მიცვალებამდე კიდევ ერთხელ ეხილა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქადაგებლად წასული მოციქულები, რათა გამოსთხოვებოდა მათ. შემდეგ მიძინებისათვის მზადებას შეუდგა. ამის შესახებ პირველ ყოვლისა იოანე ღვთისმეტყველს ამცნო, თან გაკკარგულებები გასცა. იოანემ იაკობ მოციქული, მართალი იოსების ძე, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, მოინახულა და ყოველივე აუწყა. მისგან მოწრმუნეებმაც შეიტყვეს ყოვლადწმიდა ქალწულის წუთისოფლიდან გასვლის ჟამის დადგომის შესახებ.

სიონის მთაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მწუხარებდნენ წმინდა ქალწულთან განშორების გამო. ღვთისმშობელი აიმედებდა და ჰპირდებოდა, რომ არ მიატოვებდა მათ, ყოველთვის მსწრაფლშემწე და შუამდგომელი იქნებოდა მათი, ვინც მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს მიმართავდა. მის ამ დაპირებაში მთელი კაცობრიობის ნუგეშია დამარხული.

როდესაც ღვთისმშობელი თავის სურვილებს ოანე და იაკობ მოციქულებს გადასცემდა, მოულოდნელად ძლიერი ხმაური გაისმა. იოანე ღვთისმეტყველის სახლთან შეკრებილმა ადამიანებმა იხილეს, რომ სახლს ნათელი ღრუბელი შემოერტყა. უფალმა აღასრულა თავისი ყოვლადწმინდა დედის სურვილი: სულიწმინდის მადლით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მყოფი მოციქულები სასწაულებრივად აღიტაცა ღრუბელმა და ყველანი სიონის მთაზე აღმოჩნდნენ, თომას გარდა. უფალმა ამ დროს უკვე აღსრულებული მოციქულებიც კი აღადგინა. მიძინების წინ წმინდა ქალწულს გარს ერტყა მოციქულთა სიმრავლე –ათორმეტთა გარდა, იქ სამოცდაათთაგანნიც იმყოფებოდნენ, როდესაც ღვთისმშობლისგან შეკრების მიზეზი შეიტყვეს, მწუხარებას მიეცნენ მასთან ხორციელი განშორების გამო. წმინდა ქალწულმა გაამხნევა და ანუგეშა მოციქულები და თავისი ძის წინაშე მარადიული შუამდგმლობა აღუთქვა.

როდესაც მოიწია ჟამი ღვთისმშობლის მიძინებისა, მის სარეცელს გარშემორტყმულ მოციქულებს, რომლებიც ლოცვითა და ცრემლით ადიდებდნენ უფალს, ესმათ ბრძანება ღვთისა, რომ ჯეროვანი პატივი მიეგოთ დედის მიცვალებისათვის. თავად ღვთისმშობელს კი ესმა ხმა ძისა, რომ ნუ შეძრწუნდებოდა, რამეთუ ყოველი დაბადებული მისი სიწმინდის თაყვანისმცემელი იყო. წმინდა ქალწულმა თავის ძეს ყოველი დაბადებული შეავედრა, შემდეგ ზიარება მიიღო იაკობ მოციქულისაგან... მოულოდნელად განიღო სახლის ჭერი. ოთახი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა. თავად უფალი იესო ქრისტე გამოცხადდა ანგელოზთა დასებით გარშემორტყმული თავისი ყოვლადწმინდა დედის წინაშე. წმინდა ქალწულმა სარეცლიდან წამოიწია, თაყვანი სცა უფალს და ესმა ღვთაებრივი მოწოდება: „მოვედ, მოკეთეო ჩემო, ჩემგან შეყვარებულო, და დაიმკვიდრე მარადიული ცხოვრება“. გაამხნევა და ანუგეშა უფალმა მარადის ქალწული. შემდეგ კი „ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა მკლავთა ზედა მიირქვა და ამაღლდა ზეცად“. როდესაც ღსთისმშობელმა სული თვისი ძის ხელს გადასცა, გაისმა ანგელოზთა გალობა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“.

მოციქულები ღირსნი შეიქმნენ ღვთისმშობლის სულის ზეცად აღსვლის ხილვისა. ერთხანს გაოცებულები შესცქეროდნენ ზეცას. როდესაც გამოერკვნენ, გალობით განადიდეს წმინდა ქალწული და ზეციდან ესმათ ხმა ღვთისმშობლისა, რომელიც მიმართავდა თავის ძესა და უფალს: „შენნი ჩემდა მოცემულნი საუკუნოდ დაიცევ“...

ღვთისმშობლის ანდერძის თანახმად, მოციქულებმა მისი წმინდა განსხივოსნებული სხეული გეთსემანიის ბაღში დაკრძალეს, ანთებული ლამპრებითა და ფსალმუნთა გალობით მიასვენებდნენ გეთსემანიისკენ უხრწნელ ნეშტს. მისი დაკრძალვის დროს მრავალი სასწაული აღესრულა.

მღვდელმთავარნი და მოხუცებულნი ბრაზითა და შურით აღივსნენ, როდესაც ნახეს, თუ როგორი პატივით მიაცილებდნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. მსვლელობის პროცესში ერთი იუდეველი, მღვდელი ათონია, მივიდა ღვთისმშობლის სარეცელთან, რათა მისი ყოვლადწმიდა ცხედარი ძირს გადმოეგდო, მაგრამ როგორც კი ოდნავ შეეხო, უფლის ანგელოზმა ზეციური მახვილით ორივე ხელი წარჰკვეთა. მოკვეთილი ხელები სარეცელზე დაცვივდა, თვითონ კი საშინელი გოდებით ძირს დავარდა. საშინელმა სასჯელმა გონს მოიყვანა იუდეველი მღვდელი, დანაშაული იგრძნო და მოციქულებს მიმართა: „შემიწყალეთ მე, მონანო ქრისტესანო!“ პეტრე მოციქულის შეგონებით მან აღიარა ქრისტე, რომ იგი იყო აღთქმული მესია და ქვეყნიერების მხსნელი, შემდეგ რწმენით მიმართა ღვთისმშობელს და მკლავები სარეცელზე დაყრილ მოჭრილ ხელებს მიადო. ხელები მაშინათვე გამთელდა და ათონია სარეცელის წინაშე დაემხო, თაყვანი სცა იესოს და მის დედას, აქო და ადიდა ორივე და მოციქულებს თან გაჰყვათ. ამ სასწაულის მხილველმა ბევრმა იუდეველმა შეინანა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარეცელს მიემთხვია და მეყსეულად განიკურნა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოქვაბულში დავითიანთა საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს და შესასვლელი კარი ქვით ამოქოლეს. მთელი სამი დღე აქ ლოცვასა და საგალობელს აღუვლენდნენ დედა ღვთისას მოციქულნი, ზეციდან კი მოისმოდა ანგელოზთა გალობა. მესამე დღეს დაბრუნდა თომა მოციქულიც და მოითხოვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წმინდა ცხედრის თაყვანისცემა. მაგრამ როცა აკლდამა გახსნეს, იქ მხოლოდ მანტია და სახვევები დახვდათ. მაცხოვარმა ყოვლადწმინდა მარიამის სხეულიც ზეცას აღამაღლა. მოციქულებს განცვიფრებულთ ამ სანახაობით, იმავე საღამოს თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადათ და უთხრათ: „გიხაროდენ, მე თქვენთანა ვარ ყოველსა ჟამსა და ვიქნები მეოხი თქვენი წინაშე ღვთისა“.

წმინდა თომას დაგვიანებაში მოციქულებმა ღვთის ნება შეიცნეს, რამეთუ მისი მიზეზით იქნა განცხადებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხორციელად ზეცად ამაღლებაც. მათ ადიდეს ღმერთი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, აღასრულეს ჟამისწირვა და განაწესეს ხსენება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და ჩვენს წინაპრებს მრავალი ტაძარი აქვთ აგებული მის სახელზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მათგან ბევრია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისა, რომელთა დღესასწაულსაც ჩვენ ყოველწლიურად ახ. სტ. 28 აგვისტოს აღვნიშნავთ

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სიტყვები: „გიხაროდენ, მე თქვენთანა ვარ ყოველსა ჟამსა, მარტო მოციქულთა მიმართ როდია ნათქვამი, ეს სიტყვები თითოეულ ჩვენთაგანს გვითხრა დედა ღვთისამ და ჩვენც უნდა ვიხარებდეთ ყოვლადწმინდა ქალწულის ხსენებისას და მის მიერ გამოხსნილნი, ყოველთვის დიდებასა, მადლობასა და თაყვანისცემასა უნდა აღუვლენდეთ ღმერთსა აწ და უკუნისამდე. ღმერთმა დაგლოცოთ!

გილოცავთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას, მარიამობას! დედა ღვთისამ დალოცოს ჩვენი ყვარელი და სრულიად საქართველო. ამინ!

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

...კიდევ არსებობენ ადამიანები, სიკეთით აღსავსენი, რომლებიც უხმაუროდ, დიდი რუდუნებით აკეთებენ ერისათვის სასარგებლო საქმეებს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

შევხვდით მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. დავრწმუნდით, რომ ეს იყო ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი. ბატონ ზაურს ადგილზევე მივეცით მითითება და წამოსასვლელად გავემზადეთ. უცებ მოგვესმა მისი ხმა: ძალიან გთხოვთ, არ გამაწბილოთ, ჩემთან სტუმრად უნდა წამობრძანდეთ. დავთანხმდით.

ოჯახში მისულებს მისი 12 წლის ქალიშვილი მაია პირველი მოგვეგება. ეს იყო სასიამოვნო გარეგნობის, თამამი, კონტაქტიანი გოგონა. მომიბრუნდა და მითხრა: მამაჩემისაგან ვიცი, რომ თქვენ პოეზია გიყვართ, შემდეგ მხატვრულად წაგვიკითხა გალაკტიონის „მერი“.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პატარა მაიას ნათქვამი ლექსი ხშირად მაგონდებოდა ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, როცა საკუთარი თავისთვის მიკითხავს: ნეტავ, სად არის ის ნიჭიერი და თამამი გოგონა?

ნამდვილად ის არის, – ვუთხარი ელენეს, რომელმაც გაოცებით შემომხედა. შემდეგ გავუზიარე ჩემი ფიქრი და ვთხოვე მოეძია მაიას ტელეფონის ნომერი.

რამდენიმე დღის შემდეგ დავურეკე მაიას და შეხვედრა ვთხოვე.

ვუყურებდი ახალგაზრდა სიმპათიურ ქალბატონს – ზაურ ზარდიაშვილის საამაყო შვილს. იგივე სითამამე, იგივე თბილი, გულშიჩამწვდომი გამოხედვა. მოფერება მომინდა. ვღელავდი... მალე დავმშვიდდი და აეწყო ჩვენს შორის საუბარი. ყველაფერი მაინტერესებდა მის შესახებ, ამიტომ ჩემი პირველი კითხვა მისადმი ასეთი იყო:

–12 წლის მაიამ რა გზა განვლო, რომ დღემდე მოსულიყო?

– მაიამ ერთი თავისებური მომხიბვლელი ღიმილით შემომხედა და მითხრა: პოეზია ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ, როცა თქვენ გალაკტიონის ლექსი „მერის“ წაკითხვის შემდეგ შემაქეთ, განსაკუთრებით გამიძლიერდა ეს გრძნობა. თქვენი სიტყვები დღემდე მახსოვს: ზაურ, ეს გოგონა აუცილებლად გასახელებთო. მას შემდეგ დრო სწრაფად მიქროდა. მე ისიც მახსოვს, რა გეცვათ და როგორ მიღიმოდით. თვალებზე ცრემლი მომადგა. მაია კი განაგრძობდა თხრობას.

„ჩვენ ყველა ბავშვობიდან მოვდივართ“. ეგზიუპერის სიტყვებით დაიწყო მან საუბარი. ჩემთვის ბავშვობა ასოცირდება ოჯახთან, სადაც ყოველთვის სუფევდა სიმშვიდე და სიყვარული. პედაგოგი მშობლები იცავდნენ ჩვენი ერის ღირსეულ ტრადიციებს და ამასვე გვინერგავდნენ მე და ჩემს და-ძმას.

სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩავაბარე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩავირიცხე ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მოვაშურე მშობლიურ რაიონს.

1992 წლიდან მუშაობა დავიწყე ილია ჭავჭავაძის სახელწიფო მუზეუმში ექსკურსია მძღოლად. პარალელურად ყვარლის მეორე საშუალო სკოლაში ვასწავლიდი ისტორიას.

შემდეგ იყო ოჯახის შექმნა, შვილების დაბადებით გამოწვეული სიხარული, მაგრამ ამავე დროს დიდი ტვირთიც და მეც, სხვა ქალების მსგავსად მივაშურე საბერძნეთს. ძნელია ემიგრანტის ცხოვრება. მას თან სდევს მოგონებები და თვალებზე დაკიდული ცრემლები. რა მაძლევდა ძალას? რწმენა უკეთესი მომავლისა. ილია ჭავჭავაძის სიბრძნე გახდა ჩემი ცხოვრების მეგზური. ის მამხნევებდა და ჩამძახოდა „უარესიც გვინახავსო“ და... უფალმა გადმომხედა. სამუშაოდ მოვხვდი საუკეთესო ოჯახში, მაგრამ მაინც ძლიერი იყო ნოსტალგიის გრძნობა.

– ქალბატონო მაია, ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ რუსთაველის თეატრის მუზეუმში ინახება თქვენს მიერ ნაჩუქარი დოქი, რომელზეც გამოსახულია შოთა რუსთაველი. გთხოვთ, გვიამბოთ ამ დოქის შესახებ. მაიამ თხრობა განაგრძო.

– ოჯახს, სადაც მე ვმუშაობდი, ჰქონდა ანტიკვარული ნივთების მაღაზია.

ჩემდამი გამომჟღავნებული პატივისცემისა და სითბოსთვის გადავწყვიტე მადლობის გადახდა. საქართველოში დავუკავშირდი ჩემს ოჯახს და მეგობრებს. ვთხოვე გამოეგზავნათ ანტიკვარული ნივთები. რა თქმა უნდა, რასაც მოახერხებდნენ. მალე მივიღე ძველი ნივთებით სავსე ჩანთა. დავათვალიერე და, როცა ეს სურა დავინახე, ვერ გავიმეტე, გულში ჩავიკარი და მას შემდეგ ჩემთან დარჩა. ყველაზე მძიმე წუთებშიც ჩამძახოდა და მამხნევებდა: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. რვა წელი ერთად ვმოგზაურობდით და ვცხოვრობდით მე და ჩემი დოქი. მეცხრე წელს დავბრუნდით სამშობლოში და ჩემს ოჯახში საპატიო ადგილი მივუჩინე მას.

– მაშ ასე, დოქი როგორ მოხვდა რუსთაველის თეატრის მუზეუმში?

– 2015 წელს ბატონ ილია მზექალაშვილის გამგებლობის დროს, მისივე მოწვევით ყვარელში სტუმრად ჩამოვიდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: კახი კავსაძე, სოსო ლაღიძე, მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი და სხვები, რომლებმაც მაყურებლებს წარუდგინეს სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“.

სუფრა ჩემს ოჯახში გაიშალა. როცა კახი კავსაძემ ჩემი სადღეგრძელო დალია, უნებურად დოქს შევხედე. მივხვდი მისი ადგილი აქ არ იყო. მადლობის გადახდის დროს ავიღე დოქი და მათ გადავეცი საჩუქრად და თან მოვყევი ჩემი და ამ დოქის რვაწლიანი მეგობრობის ისტორიის შესახებ.

ყველას ცრემლი მოერია და მითხრეს, რომ ამიერიდან ეს დოქი საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა რუსთაველის თეატრის მუზეუმშიო. მართლაც, ეს ასე მოხდა.

მაიას მოქმედებით აღფრთოვანებული მსახიობები მადლობას უხდიდნენ მას, რომელმაც საპასუხოდ ასეთი რამ უთხრათ: ამას იზამდა ყველა ქართველიო.

აღნიშნული ამბავი ჟურნალში „გზა მომავლის“ გააშუქა ნაირა მარშანიამ, რისთვისაც პირადად მე ყვარლელების სახელით მადლობას ვუხდი მას.

დიახ, რუსთაველის სურათით მოხატული დოქი ამაყად დგას მუზეუმში როგორც დასტური მაია ზარდიაშვილის კაი ქალობისა, სამშობლოსა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სიყვარულისა.

მაიას უდიდეს დამსახურებად ითვლება ისიც, რომ მან გაზეთ „ყვარელის“ საშუალებით ჩვენი რაიონის მცხოვრებთ გააცნო ახალსოფლელი კაცი, პროფესორი ედიკა ჯანელიძე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე, როგორც ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს.

იგი იმ ხუთი ადამიანიდან ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც ზვიად გამსახურდიას დროს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და საერთოდ, მან მთელი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვას შესწირა.

ამისთვისაც მადლობას ვუხდი ამ ენერგიით სავსე დაუღალავ ქალბატონს.

ვუყურებდი მაიას, რომელმაც გამოაცოცხლა ყვარლის რაიონში კულტურული ცხოვრება და რომელიც დღეს მართლაც ღირსეულად უძღვება ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრს. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ კიდევ არსებობენ ადამიანები, სიკეთით აღსავსენი, რომლებიც უხმაუროდ, დიდი რუდუნებით აკეთებენ ერისათვის სასარგებლო საქმეებს.

მაიას სახეზე ზოგჯერ სევდის ღრუბელიც გადაიქროლებს ხოლმე. ეს მაშინ, როცა საუბარი შვილებს შეეხება. მისი ფიქრები გერმანიაში მყოფ ქალიშვილსა და შვილიშვილებს დასტრიალებს და ენატრება ისინი. თუმცა, სახლში მყოფი ვაჟის ოჯახზე ზრუნვა დიდხანს არ აძლევს ფიქრის საშუალებას.

და ბოლოს მინდა, ჩემი სათქმელი მაიას ლექსიდან ამოღებული ერთი ერთი სტროფით დავამთავრო:

„სიკეთე არის ქართველთა ჰიმნი“...
ერისთვის ლოცვად გვიმრავლე ბერი,
ღვთისმშობლის წილხვედრ
საქართველოში
გვიბედნიერე, გვიმრავლე ერი!“

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

თუ ყველს ბაზარში ყიდულობთ, აუცილებლად წაიკითხეთ ეს სტატია!

ქართული ყველის რუკაზე 60-მდე სახეობის ყველია. თითოეულ მათგანს თავისი წარმოების სპეციფიკა და წესი აქვს. მათი სრულფასოვნად დაცვის შედეგად მიიღება პროდუქტი, რომელიც ხარისხის სტანდარტებს აკმაყოფილებს და მისართმევად უსაფრთხოა. თუმცა **საქართველოში ხელმისაწვდომი ყველის დიდი ნაწილი სტანდარტების დაცვით არ იწარმოება.** შედეგად დარღვეულია მათი როგორც ვიზუალური, ისე გემოვნური თვისებები. ერთ-ერთი ასეთი **ქარხნული ყველია**.

მომხმარებლების უმეტესობამ იცის, რომ ქარხნულ ყველს სპეციფიკური მძაფრი სუნი, მუქი ყვითელი შეფერილობა და ბევრი ნასვრეტი, ანუ თვალი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს ყველაფერი მითია. მათთვის სწორ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და იმის გასარკვევად, თუ რამდენად ხარისხიან ყველს მივირთმევთ, საკითხის უფრო დეტალურად შესწავლა გადავწყვიტეთ. ინტერნეტში არსებული ინფორმაციისა და ყველის ტექნოლოგებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას კი მკითხველს გიზიარებთ.

ხარისხიან ქარხნულ ყველს არც ყვითელი ფერი, არც არასასიამოვნო სუნი და არც განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის წვრილი თვლები უნდა ჰქონდეს. შეცდომებისა და უსიამოვნებების თავის არიდების მიზნით დეტალურად განვიხილოთ, თუ **როგორი უნდა იყოს ხარისხიანი ქარხნული ყველი** და რას ნიშნავს მისი მუქი შეფერილობა თუ ბევრი თვალი.

ქარხნული ყველის წარმოების ტექნოლოგია შემდეგნაირია: სასურველი მარილწყალში. მარილწყალში მარილის შემცველობა ყოველთვის ერთნაირი უნდა იყოს. სასურველია მარილწყლის ტემპერატურა მაღალი არ იყოს, რათა მასში ტექნოლოგიური პროცესი არ დაირღვეს და ნაწლავის ჩხირი არ გამრავლდეს.

ამ პროცესის შედეგად მიიღება პროდუქტი, რომლის ხარისხიც 6 მთავარი სახასიათო თვისებით განისაზღვრება. ესენია: ფერი, სუნი, გემო, ვიზუალური მხარე, პროდუქტის კვებითი ღირებულება, მიკრობიოლოგიური მხარე. დეტალურად განვიხილოთ 2 მათგანი, რომლებიც მომხმარებელს ხარისხის განსაზღვრაში ყველაზე მარტივად დაეხმარება.

ფერი, რომელიც უნდა იყოს ერთგვაროვანი, თანაბრად გადანაწილებული, ღია მოყვითალო, თეთრი. ზოგადად, სიყვითლე ცხიმიანობის მაჩვენებელია და ყვითელი ყველი ცუდს არ ნიშნავს, მაგრამ ყველს სიყვითლე თუ მხოლოდ შუაგულში აქვს, ეს ნიშნავს, რომ ის საკვებად უვარგისია;



თვლები, იგივე ნასვრეტები, რომელიც არა მხოლოდ ქარხნულ, არამედ ყველა სახეობის ყველში თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული. თვლები უნდა იყოს, მაგრამ არა ძალიან ბევრი და წვრილი.

თუ თქვენ მიერ შეძენილ ყველს ძალიან ბევრი წვრილი თვალი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ყველის მიკრობიოლოგიური მხარე დარღვეულია. გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ორგვარი: **უვარგისი მარილწყალი** და/ან **ნაწლავის ჩხირი**. რძე ბაქტერიით შეიძლება დაბინძურდეს მისი მიღების ან დამუშავების პროცესში სანიტარული ნორმების დაუცველობის გამო. ასეთი რძით წარმოებულ ყველს უამრავ წვრილი თვალი აქვს და მისი საკვებად გამოყენება არ შეიძლება, რადგან შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეგიქმნათ. ბევრი თვალის გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს საფუვრით დაბინძურებაც. მის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ შემადედებელი ფერმენტი ცივ რძეში ჩაიყაროს. ინდივიდუალური მწარმოებლები, სამწუხაროდ, ამ სტანდარტების დაცვას იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებენ. შედეგად ვიღებთ ბევრნასვრეტიან ყველს, როგორიც ევროპის ქვეყნებში საკვებად არც კიგამოიყენება.

კარგ ქარხნულ ყველს ასევე არ უნდა ჰქონდეს სპეციფიკური სუნი. მკვეთრად გამოხატულ სუნს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა განაპირობებს, ამიტომ აუცილებელია მსგავსი პროდუქტის მიღებას მოერიდოთ.

ყველის ხარისხის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი შენახვის პირობების სათანადოდ დაცვაც. აუცილებელია, ყველი ინახებოდეს ტემპერატურის კონტროლის რეჟიმში, რომლის დაცვაც ბაზრებსა და ღია სივრცეებში ფაქტობრივად შეუძლებელია. არ უნდა ხდებოდეს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, მზის პირდაპირი სხივები არ უნდა ხვდებოდეს მთელი დღის განმავლობაში, უნდა იყოს სათანადოდ შეფუთული. მხოლოდ ასეთი ყველია საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო.

თუ თქვენ მართლაც ხარისხიანი პროდუქტის შეძენა გსურთ, რომელსაც მთელი ოჯახი მშვიდად მიირთმევთ, უპირატესობა მიანიჭეთ ინდუსტრიულ ყველს, რომელიც წარმოების სტანდარტების დაცვით იწარმოება. მოერიდეთ შეუფუთავი ყველის შეძენას ღია სივრცეებში, ბაზრებში, სადაც შენახვის პირობების დაცვა შეუძლებელია.

და ეს იარეები ჩვენი საერთო ძალისხმევით, ეროვნული აზროვნებით, განათლებითა და დაუღალავი შრომით, ერის მამის ნაანდერძევი გზით სიარულის წყალობით უნდა მოვიშუშოთ

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

საშუალებით 80 წლის იუბილე მივულოცეთ, მაგრამ ინტერვიუს ჩაწერა დავაგვიანეთ. ნათქვამია –"სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

– ბატონო ალიმან, კიდევ ერთხლ გილოცავთ ოთხმოცი წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გიფიქრიათ, მეოთხმოცე წელი თუ ასე მალე დადგებოდა შენს ცხოვრებაში?

– პირველ ყოვლისა უღრმეს მადლობას მოგეხსენებათ ჩემთვის საფიცარი ადამიანების, ჩემი აღმზრდელი დედის და ბიძის გახსენებისათვის, ვინც თავისი სამაგალითო ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეს ამ ქვეყანაზე.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მალე დადგა ეს თარიღი ჩემს ცხოვრებაში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა რთულია. ზოგისთვის შესაძლოა მალე იყოს, ზოგისთვის გვიან – ეს პიროვნული შეხედულებიდან გამომდინარეობს. რამდენიც არ უნდა იფიქრო, ერთი რამ ცხადია და ვერსად გაექცევი კაცი: როგორც ერთ სიმღერაშია – „თვალის მოკვრას ვერ მოასწრებ, წლები ისე მიქრიან"...

ისე კი, ხანდაზმულობა, რა თქმა უნდა ღვთის წყალობაა, მაგრამ იმით არის ცუდი, რომ სიბერეში ბევრ მეგობარს კარგავ, ხოლო ახლებს ვეღარ იძენ. სამწუხაროდ, ასეთი განცდები არ გვაკლია!

– რვა ათეული წელი არც ისე ცოტაა, მაგრამ თქვენ ისეთი ახალგაზრდული იერით გამოიყურებით, ვერავინ შეგატყობთ ხანდაზმულობას. როგორ და რის მეოხებით შეძელით ასეთ ჯანმრთელს და შრომიუნარიანს რომ მოგეღწიათ დღემდე?

– სხვათა შორის მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიურ სპორტში ვიყავი. 1993 წელს, 51 წლის ასაკში ვითამაშე ბოლო თამაში ყვარლის ნაკრების შემადგენლობაში, როცა თელავში 3:0 მოვუგეთ ადგილობრივ გუნდს საქართველოს პირველობაზე. როცა მკითხეს, ასეთი ასაკის მქონე როგორ თამაშობო, ხუმრობით ვუპასუხე: ქრონოლოგიურად ვარ 51 წლის, თორემ ბიოლოგიურად 25 წლისა ვარ მეთქი. ასეთი ოპტიმისტური სულისკვეთებით ვიყავი ყოველთვის აღსავსე და ეს გრძნობა დღემდე არ მტოვებს. დაბეჯითებით ვამბობ, რომ ყველაფერი სპორტის დამსახურებაა, ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული სპორტის რამდენიმე სახეობით, ძირითადად კი ფეხბურთით და ფრენბურთით. 27 წლის ასაკამდე ვითამაშე ფეხბურთი, ბოლო 51 წლის ასაკამდე ფრენბურთი. მას შემდეგ კი, დღემდე ფრენბურთის მწვრთნელი ვარ. მთელი ცხოვრების განმავლობაში თავშეკავებული და ზომიერი ვიყავი ალკოჰოლთან დამოკიდებულებაში, არასოდეს მომიწევია სიგარეტი, მივსდევდი ცხოვრების ჯანსაღ წესს და აი, ასე მოვედი დღემდე. ჯანმრთელობას და შრომისუნარიანობას არც დღეს ვუჩივი.

– როგორც მახსოვს კომკავშირის ყვარლის რაიკომში დაიწყეთ მუშაობა, როგორი იყო კომკავშირული საქმიანობა და ახალგაზრდების ჩამოყალიბებას თუ უწყობდა ხელს?

– კომკავშირში სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ დავიწყე მუშაობა. სხვათა შორის, ჯარშიც დივიზიონის კომსორგი ვიყავი სამი წლის განმავლობაში. მაშინ სხვა დრო იყო და სხვა ურთიერთობები – ირგვლივ ჯანსაღი და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთება სუფევდა. ახალგაზრდობა ფართოდ იყო ჩაბმული სწავლასა და შრომაში, იყო არაერთი სასარგებლო ინიციატივის ორგანიზატორი. ყველა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული იყო ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო დოვლათის შექმნაში. ახალგაზრდობისა და კომკავშირის ინიციატივით ტარდებოდა სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ბავშვობის წლებიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა მომავალი თაობის ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდის საქმეს, ისე, რომ ქუჩის ანაბარა არავინ იყო მიტოვებული. კაცთმოყვარეობა, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, უფროსი თაობის მიმართ, მოკრძალების გრძნობა გახლდათ ახალგაზრდა თაობის დამახასიათებელი თვისება და ამ თვისებების ჩამოყალიბებაში სწორედ კომკავშირი და იმდროინდელი აღზრდის სისტემა თამაშობდა ძირითად როლს. დღეს კი სულ სხვა სურათია: ქუჩა, კაზინო, ღამის კლუბები, ნარკოტიკები და აგრესიული ფსევდოლიბერალური ღირებულებები იკიდებენ ფეხს ჩვენი მომავალი თაობის ცხოვრებაში, რაც კატასტროფის ტოლფასია. ასე, რომ საფიქრალი და საზრუნავი ძალზე ბევრია ვითარების გასაჯანსაღებლად. მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენაა და მომავალში ყველაფერი გამოსწორდება.

– კომკავშირში წარმატებული საქმიანობის დროს შეგამჩნიეს და პარტიის ყვარლის რაიკომში დაგაწინაურეს, თქვენზე უკეთ არავინ იცის რაიკომის მუშაობის სტილი და მეთოდები, შედეგიანი იყო თუ არა ეკონომიკური აღმავლობისთვის?

– მაშინ ასე იყო – აქტიურობა და მიზანსწრაფულობა არასოდეს რჩებოდა ყურადღების მიღმა. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც, კომკავშირში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ პარტიის რაიკომში გადამიყვანეს სამუშაოდ. ეს

ძალზე რთული და საპასუხისმგებლო პერიოდი გახლდათ ჩემს ცხოვრებაში. რაც შეეხება რაიკომის მუშაობის სტილს და მეთოდებს, ამ თემაზე საუბარი არ ღირს, რამდენადაც დღეს უკვე აღარავის აინტერესებს. რას ვიზამთ, დრონი მეფობენ და არა მეფენი – ასეთია დღევანდელი რეალობა. ერთს კი ვიტყვი – პარტიის რაიკომის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ცხოვრების ყველა სფერო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული საკითხები. მოგეხსენებათ, გეგმიური ეკონომიკის პერიოდში ვცხოვრობდით და ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული. რაიკომის მთელი საქმიანობა პოლიტიკური მუშაობის პარალელურად ეკონომიკაზე და ამ სფეროში დასახული ამოცანების შესრულებაზე იყო ორიენტირებული. მოგეხსენებათ, ეკონომიკის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა და ამიტომ ყველაფერი კეთდებოდა გეგმების შესრულებისა და ეკონომიკის აღმავლობის მიზნით. იყო კიდევაც ამ მიმართულებით თვალსაჩინო მიღწევები. შეიძლება ორიოდე მაგალითის მოყვანა: რაიონში ვენახების საერთო ფართობი 10 ათას ჰექტარს აღწევდა და ყოველწლიურად სტაბილურად იწარმოებოდა 40-50 ათასი ტონა ყურძენი. ხორბალი ითესებოდა 4-5 ათას ჰექტარზე და ვიღებდით 15 ათას ტონამდე მოსავალს, ასევე 10-12 ათას ტონამდე სიმინდს, აღარაფერს ვამბობ ბოსტნეულ-ბაღჩეულზე, მეცხოველეობასა და სხვა კულტურებზე. ერთი სიტყვით, ეკონომიკა მყარად ვითარდებოდა, შესაბამისად იზრდებოდა სოციალური კეთილდღეობის დონე. არავის არ შიოდა, არ სციოდა, შიშველ-ტიტველი არ დადიოდნენ და არავინ მათხოვრობდა. ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდში უმუშევრობა და მუქთახორობა კანონით ისჯებოდა. ასე, რომ დასკვნები თავად შეგიძლიათ გამოიტანოთ.

– პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, სახელხმიანი პიროვნება გივი ზაუტაშვილი ბრძანდებოდა და მასთან მოგიწიათ მუშაობა, როგორი იყო მისი საქმიანობის სტილი და რა სიკეთე მოუტანა ყვარელს?

– დღემდე მემაყება ის, რომ მუშაობა მომიწია მართლაც ასეთი სახელხმიანი და დიდი პიროვნების გივი ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო კაცი, ამოუწურავი შესაძლებლობებისა და გაქანების ხელმძღვანელი, რომლის დავიწყება და ამაგის დაუფასებლობა შეუძლებელია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი ყვარელი, რითაც ყველას მოგვწონს თავი, სწორედ მისი მეცადინეობითა და ძალისხმევით შენდებოდა. უფროს თაობას კარგად ახსოვს ძველი ყვარელი – პატარა, ჩვეულებრივი სოფელი, ვიწრო ქუჩებითა და გაუმართავი ინფრასტრუქტურით. სწორედ ბატონი გივი იასეს ძე ზაუტაშვილის პირველ მდივნად აარჩევის შემდეგ – 1961 წლიდან დაიწყო ჩვენი ქალაქის აღმშენებლობა. მის სახელთანაა დაკავშირებული ილიას გორის კეთილმოწყობა და დიდი ილიას ძეგლის აღმართვა, საქვეყნოდ ცნობილი ყვარლის გვირაბის და სადეგუსტაციო დარბაზის მშენებლობა, ყვარლის შემოსასვლელი ცენტრალური გზის მშენებლობა და კეთილმოწყობა, რომელიც ადრე ეკალ-ბარდით დაფარულ ვიწრო გზას წარმოადგენდა და ყვარელს ერთადერთი შემოსასვლელი მხოლოდ კუდიგორის მხრიდან ჰქონდა. ბატონი გივის პირადი ინიციატივით, ძირითადად შაბათობებით მოეწყო ჯერ ჩალის წყალსაცავი 1962-1963 წლებში, ხოლო 1971 წელს კუდიგორის წყალსაცავი, რომლებიც დღეს ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და კულტურული დასვენების კერებს წარმოადგენს. მოწესრიგდა, გაფართოვდა და მოასფალტებული იქნა ყვარლის ქუჩები, აშენდა სკოლები, საბავშვო ბაღები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები. სწორედ ბატონი გივის მოღვაწეობის პერიოდში მოეწიჭა ყვარელს ქალაქის სტატუსი. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, იმდენად ფართოა მისი მოღვაწეობის მასშტაბები, არა მარტო ყვარლის, არამედ ჩვენი რაიონის ყველა სოფლის სინამდვილეში... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გივი ზაუტაშვილის დონის ხელმძღვანელი და ლიდერი ჩვენი რაიონის ისტორიას არ ახსოვს. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ასეთი პიროვნების ამაგი და ღვაწლი დღესდღეობით სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის დაფასებული.

– გარკვეული პერიოდი ყვარლის რაიკავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე მოგიწიათ მუშაობა, მაშინ პროდუქტებზე ასეთი კოლოსალური ფასები არ იყო და ნებისმიერ ადამიანს მცირე ხელფასის მიუხედავად შეეძლო ოჯახის გამოკვება, თქვენი შეხედულებით იყო ეს ორგანიზაცია გასაუქმებელი?

– 1974-1978 წლებში მომიწია ყვარლის რაიკოოპერატივის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობამ. ვაჭრობის სისტემა ჩემი მოღვაწეობის პერიოდში იმით იყო გამორჩეული, რომ მოხმარების საგნები, ტანსაცმელი იყო თუ პროდუქტები, ძალიან უხვად იყო და ძალიან დაბალ ფასებში, ისე, რომ ნებისმიერ ადამიანს მიუწვდებოდა ხელი ყველაფერზე. ზოგიერთი ალბათ, რომ წაიკითხავს, შეიძლება არ დაიჯეროს და გაეცინოს კიდეც, მაგრამ რეალურად ასე იყო. მაგალითად, ხორცი მაღაზიაში კილოგრამი ღირდა ერთი მანეთი და ორმოცი კაპიკი; ყველი ორი მანეთი; თეთრი პური 30 კაპიკი, სერი 18 კაპიკი და შავი პური 15 კაპიკი; მარილი 2 კაპიკი; შაქარი 78 კაპიკი; ბორჯომი 9 კაპიკი; გაყინული თევზი 25 კაპიკიდან 40 კაპიკამდე; თევზის კონსერვი კილკა 20 კაპიკი. კაპიკები ღირდა ძეხვეული, დამარილებული თევზი, ტკბილეული და სხვა, ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. ასეთივე დაბალი ფასები იყო პირველი და აუცილებელი მოხმარების სხვა საქონელზე, ტანსაცმელზე, ავეჯზე და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველას ყველაფერზე ხელი მიუწვდებოდა. მითუმეტეს, რომ მაშინ უმუშევრობა პრაქტიკულად არ არსებობდა და ყველა დასაქმებული იყო. დღეს კი რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა და ყველაფერს არაადეკვატური, კოლოსალურად მაღალი ფასები ადევს. ამას, ჩემი ღრმა რწმენით, უკვე ვაჭრობა აღარ ჰქვია. ეს გახლავთ მევახშეობა, როცა ყველა ცდილობა ხალხის ძარცვის ხარჯზე გამდიდრებას.

ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში არსებული ფასების შესახებ, ობიექტური ჭეშმარიტებაა და განპირობებული იყო ფასწარმოქმნის წესის სწორი რეგულირებისა და კონტროლის მექანიზმებით. საერთოდ, სამომხმარებლო კოოპერაცია ხალხისათვის იყო შექმნილი და ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომ ამ სისტემის გაუქმება და ლიკვიდაცია მიუტევებელი შეცდომა და დანაშაულის ტოლფასია, რამაც ისევ და ისევ მოსახლეობა დააზარალა.

– თქვენი საქმიანობის ბოლო წლები „ქინძმარაულის" საბჭოთა მეურნეობას უკავშირდება, სადაც დირექტორის თანამდებობაზე ინდიკო და შემდგომ სანდრო სეფაშვილები მოღვაწეობდნენ, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები თუ იყვნენ კმაყოფილი შრომის ანაზღაურებით და უნდა გაუქმებულიყო ასეთი მეურნეობები?

– „ქინძმარაულის" საბჭოთა მეურნეობა იმ პერიოდში ფლაგმანს წარმოადგენდა რაიონში ყურძნის, მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. აქ ვმუშაობდი 1981-1989 წლებში ისეთი ავტორიტეტული დირექტორების მხარდამხარ, როგორებიც ინდიკო და სანდრო სეფაშვილები იყვნენ. ისინი სარგებლობდნენ მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. სამეურნეო ხელმძღვანელისათვის აუცილებელი ნიშან-თვისებების პარალელურად, რაც მათი წარმატებული საქმიანობის საფუძველი გახლდათ, ორივენი სხვა, მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითაც გამოირჩეოდნენ. ინდიკო გახლდათ დიდად განსწავლული, ენციკლოპედიური ცოდნისა და განათლების მქონე პიროვნება, ხოლო სანდრო ჩვენი სპორტისა და კულტურის თავდავიწყებული ქომაგი გახლდათ და დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს რაიონში ფეხბურთისა და ფრენბურთის განვითარებასა და აღმავლობაში.

აქვე გავიხსენებდი ერთ საინტერესო მომენტს: „ქინძმარაულის" მეურნეობაში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენს დაქვემდებარებულ საზღვრებში არსებული მთელი ტერიტორია ნადირობისათვის აკრძალულ ზონად გამოგვეცხადებინა. მთელ ტერიტორიაზე დავამონტაჟეთ შესაბამისი ბანერები წარწერებით „ქინძმარაულის" ტერიტორიაზე ხოხობზე ნადირობა აკრძალულია და განუხრელად ვიცავდით ამ პოზიციას. შედეგად ისე მომრავლდა ჩვენი ბუნების მშვენება ხოხობი და სხვათა შორის კურდღელიც, რომ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ფაუნის ამ წარმომადგენლებს. საპლანტაციო გზებზე ხოხბები ქათმის ვარიებივით დაგოგმანობდნენ.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი, ისევე, როგორც ბევრი რამ სხვა, წარსულს ჩაბარდა და დღეისათვის კავკასიური ხოხობი, ჩვენი ფაუნის ეს უშვიათესი წარმონაქმნი, „ქინძმარაულის" და ზოგადად ყვარლის შემოგარენში (და მთლიანად რაიონშიც) უკვე აღარ არსებობს!

საერთო ჯამში საბჭოთა მეურნეობა, როგორც მობილური სამეურნეო ორგანიზაცია, ხალხის ინტერესებს გამოხატავდა და შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით პროგრესული წარმონაქმნი გახლდათ. აქედან გამომდინარე მისმა ლიკვიდაციამ ისევ მშრომელი ხალხი დააზარალა.

– თქვენი საქმიანობის პარალელურად აქტიურად იყავით ჩართული სპორტში, იყავით საუკეთესო ფეხბურთელი და „დურუჯის" ღირსებასაც იცავდით, თუ შეიძლება მოგვიყვეთ „დურუჯზე", მის სპორტულ მოღვაწეებზე და დამსახურებულ ფეხბურთელებზე.

– ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და არის. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 60-იანი წლების დასაწყისში მოვედი ყვარლის „დურუჯის" ფეხბურთელთა გუნდში და გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის წევრიც გავხდი. რა შეიძლება ითქვას იმდროინდელ „დურუჯზე?" ეს იყო ძალიან თვითმყოფადი და საინტერესო კოლექტივი, რომელიც ყვარელი გულშემატკივრების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. კალენდარული თამაშებისას ხომ ტევა არ იყო სტადიონზე და გუნდის საწვრთნელი ვარჯიშების დროსაც აუარებელი ხალხი მოდიოდა საყურებლად. „დურუჯი" 1961 წელს გადავიდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და წარმატებით თამაშობდა მრავალი წლის განმავლობაში. დღემდე თვალწინ მიდგას ის პირველი შემადგენლობა, ვის გვერდითაც შემდგომში მიწევდა თამაში: კაკო სეფაშვილი – შესანიშნავი მეკარე, გოგია მოლაშვილი – „სტეგნე", ჯონდო სეფაშვილი – „ვასილიჩი", ოთარ ქანდაურიშვილი –"ზანგო", ელგუჯა ტაკაშვილი – „ჭიკჭიკა", ომარი სეფაშვილი – „ფონტენა", ლეო ჟამუტაშვილი – „ჟაპრე", კაკო ზაუტაშვილი – „ყაჭოლე", ომარ სამიტაშვილი – „სამასა", სადულა ქარსანაშვილი, ჟაკი ლარიაშვილი. შემდგომში დავემატეთ მე და გივი მირიანაშვილი შილდიდან, თამაზ ჩიტრეკაშვილი, ოთარ ღუჭაშვილი, გივი ნერსეზაშვილი.

ვიმეორებ, ეს იყო ძალიან ძლიერი და დაბალანსებული გუნდი. იყო დრო, როცა ყვარელში თამაში საქართველოს ყველა გუნდისათვის პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ჩვენთან მოგება ბევრისათვის ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენდა. 1966 წლის საქართველოს ჩემპიონატში „დურუჯი" მთელი სეზონის განმავლობაში სატურნირო ცხრილის სათავეში იყო და მხოლოდ ჩემპიონატის ფინიშზე დათმო (თუ დაათმობინეს) პოზიცია და საპრიზო ადგილის მიღმა დატოვეს. მოგეხსენებათ, ფეხბურთში ყოველთვის არსებობდა შენ–ჩემობა და ცრუ დინებები, რამაც მაშინაც ითამაშა თავისი როლი.

ჩვენი გუნდის ღირსებაზე და შესაძლებლობებზე თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ „დურუჯის" უძლიერესი თავდამსხმელი ომარ სამიტაშვილი – „სამასა" იმდროინდელ თბილისის დინამოშიც კი იყო მიწვეული.

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილთაგან დღეისათვის მხოლოდ ოთხნი დავრჩით ომარ სეფაშვილი, თამაზ ჩიტრეკაშვილი, გივი ნერსეზაშვილი და მე. დანარჩენი ბიჭები უკვე აღარ არიან – ნათელი

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

დაადგეთ იმქვყნიურ სულთა საუფლოში.

იმ პირველი „დურუჯის“ კარგი ტრადიციები, სხვათა შორის, შემდგომმა თაობებმაც წარმატებით გააგრძელეს, მაგრამ ბოლო წლებში ყველაფერი თანდათანობით რეგრესის გზით წავიდა და დღეისათვის დავდექით იმ მწარე რეალობის წინაშე, რომ ყვარელში დიდი ფეხბურთი დავწყებას მიეცა და აღარ არსებობს. ეს სამწუხარო ფაქტი ალბათ ღირს დასაფიქრებლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად.

– ამჟამად კი რაიონის ფრენბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ხართ და ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონობას არავის უთმობდით, ამჟამად რა მდგომარეობაშია, რა პრობლემები გაწუხებთ?

– ჩემი ფეხბურთიდან წასვლა მძიმე ტრავმამ განაპირობა, რის გამოც 27 წლის ასაკში ამპლუა შევიცვალე და ფრენბურთზე გადავერთე. 1970 წელს ჩემი ინიციატივით და კომკავშირის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის ბეგი ნერსეზაშვილის თანადგომითა და მხარდაჭერით შევადგინეთ რაიონის ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. რამდენჯერმე მოვიგეთ საქართველოს ჩემპიონატი სოფლის სპორტსმენთა შორის, მოგებული გვაქვს საქართველოს თასი. საპრიზო ადგილებსა და სხვადასხვა ტურნირების მოგებას ხომ თვლა არა აქვს. ექვსჯერ ვიცავდით საქართველოს ღირსებას საკავშირო მასშტაბის ტურნირებში. გვითამაშია სტეფანაკერტში, ჟიტომირში, სმოლენსკში, ალმა-ატაში, ბელაია ცერკოვში. ერთხელ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირის თასის გათამაშებაში მეორე ადგილის დაკავებაც შევძელით. ასე, რომ რაიონში ფრენბურთის განვითარების მყარი საფუძველი შევქმენით. ჩვენი ფრენბურთელების ვანო კანანაძის, არნე ხატიაშვილის, მიხეილ ბაბლიშვილის, გივრიზ საღირაშვილის და სხვათა თამაში კარგად ახსოვთ ფრენბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს.

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ ფრენბურთელთა მწვრთნელის მოვალეობას ვასრულებ. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტს, აწ განსვენებულ მეუფე სერგის, რომელმაც 1997 წელს ყვარლის სასულიერო გიმნაზიის ბავშვთა გუნდის მწვრთნელად მიმიწვია. სწორედ აქ, ჩემს მეგობართან და პარტნორთან არნე ხატიაშვილთან ერთად აღვზარდეთ ფრენბურთელთა ის თაობა, რომლის ბაზაზეც შევქმენით და დავარეგისტრირეთ ფრენბურთის სპორტული კლუბი „ყვარელი“, რომელიც 2010 წლიდან დაწყებული დღემდე წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ბოლო წლებში ოთხჯერ მოვიპოვეთ მეორე სააპრიზო ადგილი, ორჯერ მესამე ადგილი, სისტემატურად გავდივართ უძლიერესთა ოთხეულში და ვმონაწილეობთ პლეიოფის გათამაშებაში. ასე, რომ ჩვენი გუნდი დღეისათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და მყარად იკავებს ადგილს უძლიერესთა შორის.

რაც შეეხება პრობლემებს, ეს ნამდვილად არ გვაკლია. უპირველესი პრობლემა გახლავთ დაფინანსების საკითხი. სპორტული კლუბი „ყვარელი“ ა(ა)იპ-ს წარმოადგენს და ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაზეც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მაგრამ დაფინანსება იმდენად მცირეა, რომ მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს კლუბის მოთხოვნებს. 2012 წლიდან ჩვენი დაფინანსების მოცულობა 28-30 ათასი ლარით განისაზღვრება. დღეისათვის თითქმის გაათმაგებულია ფასები კვების პროდუქტებზე, ამას ემატება ასევე გაძვირებული მგზავრობის, სასტუმროს, მედიკამენტების და სხვა აუცილებელი ხარჯები. სხვა საკითხია ლარის გაუფასურების თემა დოლართან მიმართებაში. ასე, რომ დღეისათვის ერთობ მძიმე ვითარებაში ვიმყოფებით და თუ დაფინანსების წყარო არ გაიზრდება, გუნდი უბრალოდ დაგვეშლება. აქამდე კრიტიკულ სიტუაციებში ყოველთვის მეუფე სერგი გვეხმარებოდა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში. დღეს ეს იმედიც გამოგვეცალა ხელიდან. კერძო ინვესტორებს სპორტი ნაკლებად აინტრესებთ და ვერავინ მოვიძიეთ. არც ფრენბურთის ფედერაციიდან ისმის საიმედო სიგნალები. ასე, რომ ერთობ რთული დილემის წინაშე ვართ. არადა, უკვე მომავალი ეროვნული ჩემპიონატისათვის მომზადების დროა, რომელიც უკვე კარზეა მომდგარი. ვნახოთ, იმედი გვაქვს, რომ სირთულეებს როგორმე დავძლევთ.

– თქვენ ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარების ისტორიის კარგი მცოდნე ბრძანდებით, როგორი იყო და რით გამოირჩევა დღევანდელი ყვარელი?

– როგორი იყო და რით გამოირჩევა დღევანდელი ყვარელი, ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე. კახეთის ამ ტიპიურმა, პატარა სოფელმა დღევანდელი იერ-სახე გასული საუკუნის 60-იანი წლების აღმშენებლობის პერიოდში მიიღო. რა თქმა უნდა, შემდგომ წლებშიც ბევრი რამ გაკეთდა, ახლაც შენდება და მომავალშიც აშენდება, მაგრამ ყვარლის, როგორც ერთი ღამაზი და კოპწია ქალაქის ძირითადი კონტურები სწორედ 60-იან წლებში მოიხაზა.

– ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ყვარლისა და ქვეყნის აღმშენებლობაში?

– ყვარლის აღმშენებლობაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ გივი იასეს ძე ზაუტაშვილს, ჭეშმარიტ მამულიშვილს და პატრიოტს, რომლის ძალისხმევითაც დიდი ილიას დამბადებელი პატარა სოფელი ედემს დაემსგავსა. აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი თანამებრძოლები ზაალ იოსებაშვილი, ავთანდილ დავითაშვილი. პატივი უნდა მივაგოთ ასევე რობერტ ურჯუმელაშვილს, ვისი მოღვაწეობის პერიოდშიც მიიღო დღევანდელი სახე დიდიდ ილიას მუზეუმმა და მიმდებარე მოედანმა.

რაც შეეხება ქვეყნის აღმშენებლობას, ამ თემაზე საუბარი ცოტა უადგილოდ მეჩვენება. აღმშენებლობა სხვა ცნებაა, რაც გრანდიოზულ და ყოვლისმომცველ მასშტაბებს უნდა მოიცავდეს. რომელ აღმშენებლობაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დაჩქარებული ტემპით ვკარგავთ ისტორიულ მიწებს და ამ დროს, ნაცვლად იმისა, რომ შევკავშირდეთ და ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდეთ, პირიქით, ერთმანეთს ვჭამთ და ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში ვკარგავთ დროს. როცა ყველაფერ ამაზე ფიქრობ კაცი, უნებლიედ გახსენდება გალაკტიონის ცნობილი ლექსის სტრიქონები:

„საქართველოში წინათ მრავალი
ისტორიულად არწარმავალი,
ვიდოდა მტრობა, გესლით მავალი
და სისინებდა ქვეწარმავალი.

ის შხამავს ასე უბრალოდ მზიანს.
ვაჟა-ფშაველას დეკას და ღვიას,
ის წიწამურთან ილიას ხვდება
და მზიურ შუბლში უმიზნებს ტყვიას!“

აი, ასეთ სავალალო რეალობაში ვცხოვრობთ დღეს, როცა კანონების უზენაესობა და მისადმი მორჩილება არ ვრცელდება შხამიანი სოკოებივით მომრავლებული პარტიების, მოძრაობების, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების და ცალკეული პირების საკუთარი, ვიწრო-პოლიტიკური ინტერესების მიღმა.

– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო მიმზიდველი გახდეს საქართველოში ცხოვრება, რათა ახალგაზრდების მასიური მიგრაცია არ ხდებოდეს ევროპის ქვეყნებში?

– საუბედურო დღეს ბევრი გართულია პოლიტიკური ბრძოლის პროცესით, ისწავლეს მიტინგებზე ფუჭი ლაყბობა, არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობენ და ავიწყდებათ მთავარი, ავიწყდებათ, რომ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბრძოლა იმისათვის, რათა ადამიანებმა იმაზე უარესად არ იცხოვრონ, ვიდრე გუშინ ცხოვრობდნენ, რომ ცხოვრება ასატანი გახდეს, რომ ყველგან მტერი არ გველანდებოდეს, რომ ერთმანეთს აღარ ვესროლოთ და მშვიდად გავზარდოთ მომავალი თაობა, ირგვლივ დაისადგუროს ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფერომ და ბოლოსდაბოლოს ავაშენოთ საზოგადოება, სადაც ხალხი უაზრო ლაყბობის ნაცვლად ქვეყნის აღმშენებლობისათვის იშრომებს, ნათელი მომავლისთვის იბრძოლებს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში და ამ პირობებში შეიძლება მოიხსნას ჩვენი ერისათვის ესოდენ მიუღებელი, დამღუპველი მასიური მიგრაციისა და ახალგაზრდა თაობის გადინების პრობლემა. ეს მეტად რთული და მართლაც დამღუპველი პროცესი თუ დროულად არ დარეგულირდება, ადვილი შესაძლებელია, რომ რეალურად აღმოვჩნდეთ გარდაუვალი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე.

– რას ურჩევდით, რომელ პროგრამებში უნდა ჩაერთონ ახალგაზრდები, რომ ეკონომიურად წელში გაიმართონ?

– ჯერჯერობით ჩემს თვალსაწიერში ვერ ვხედავ, რომ ახალგაზრდობას ვინმე პერსპექტიულ და მიმზიდველ ეკონომიკურ პროგრამებს სთავაზობდეს. რაღაც რუტინული, სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან გადმოღებული, ჩვენი რეალური ვითარებისათვის შეუფერებელი რაღაც პროგრამები და შეთავაზებები ფონს ნამდვილად ვერ გაგვიყვანს, რადგან ყველაფერ ამას კამპანიური და სტიქიური ხასიათი აქვს, ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული გათვლებისა და სათანადო ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. თუმცა რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ეკონომიკა, ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, არ გაგვაჩნია. თუ გუშინ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას წარმოვადგენდით, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, მანქანათმშენებლობისა და ჩარხმშენებლობის საწარმოებით, სამთო-მომპოვებელი მრეწველობით, კვების მრეწველობის მრავალფეროვანი დარგებით, განვითარებული სოფლის მეურნეობით, სადაც მთავარ მიმართულებად მევენახეობა და მეჩაიეობა იყო წამოწეული, რა თქმა უნდა, მეცხოველეობასთან ერთად, დღეს რაღა დაგვრჩა ყოველივე ამისაგან? მხოლოდ და მხოლოდ ჩამორჩენილი, სხვისი ხელის შემყურე განვითარებული ქვეყნის სტატუსი. ყველაფერი დავანგრიეთ და მოვსპეთ, ქარხნები, ფაბრიკები, უნიკალური საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მიწასთან გავასწორეთ და ყველაფერი ჯართში ჩავაბარეთ. დღეს უკვე აღარაფერს ვაწარმოებთ, თვით ასანთსაც კი ვყიდულობთ, სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ. მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ და მომსახურე ქვეყნად გადაგვაქციეს და ტურისტების ანაბარა დაგვტოვეს, რომ ვიღაც შემოვიდეს ქვეყანაში, მომსახურება გავუწიოთ და ფული გადავახდევინოთ. მე პროფესიით ეკონომისტი ვარ და კარგად ვიცი, რომ ტურიზმი ეკონომიკა არ არის და ტურიზმის იმედად ეკონომიკის წინსვლა და განვითარება სრული ბლეფი და უვიცობაა. მაგრამ რას ვიზამთ, დღეს ასეთი მწარე რეალობის წინაშე დაგვაყენეს: წარმოება არ უნდა განვითარდეს, მხოლოდ მომხმარებლები უნდა ვიყოთ და სხვისი ხარა-ხურისა და მდარე ნაწარმის გასაღების ბაზარს წარმოვადგენდეთ. ასეთია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ნება, თორემ სხვაგვარი მიზნები რომ ამოძრავებდეთ, უცხოელი ე.წ. მეგობრები ოცდაათი წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ერთ ქარხანას მაინც აგვიშენებდნენ, ან ფაბრიკას, ან ერთ მასშტაბის სოლიდურ საწარმოებს გაგვიხსნიდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ქვეყანა რომ განვითარდეს და პოზიციები განიმტკიცოს, მაშინ სხვის დიქტატს აღარ დავემორჩილებით და მათი გავლენის სფეროდან გამოვალთ. მათ კი მორჩილი და მათი ნება-სურვილს აღმსრულებელი ქვეყანა სჭირდებათ. ასეთია დღევანდელი ობიექტური რეალობა, ჩვენდა სავალალოდ, ხოლო როდის და როგორ გავიმართებით წელში ეკონომიკურად, ეს ღმერთმა უწყის. ფაქტია, რომ ამ გზით სიარული აღარ შეიძლება.

– განათლების სფეროში კარგად ერკვევით და როგორი რეფორმაა განსახორციელებელი, რათა ახალგაზრდები სადღეისო მოთხოვნების დონეზე მომზადებული ცოდნით გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე?

– ყველაზე ფაქიზი, საჭირო, აუცილებელი და ერის მომავალზე გათვლილი დარგი რომ განათლების სფეროა, ეს სადავო ნამდვილად არ არის. ისტორიიდან ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე დიდი ადამიანები და ხელმძღვანელები მოღვაწეობას სწორედ განათლებისა და მეცნიერების აღორძინებით იწყებენ, რადგან სწორედ ამას მიიჩნევდნენ ქვეყნის განვითარებისა და ძლიერების მთავარ წინაპირობად.

დღეს ყველა აღიარებს, რომ გაგვაჩნდა მწობრი, გამართული და სანიმუშო განათლების სისტემა, რომელიც ე.წ. რეფორმების ნიღაბქვეშ ერთი ხელის მოსმით დავანგრიეთ. განათლების მინისტრები ერთიმეორის მიყოლებით იცვლებიან. უკვე ათი განათლების მინისტრი გამოვიცვალეთ დამოუკიდებლობის პერიოდში, მაგრამ უკუსვლის ნაცვლად ვერაფერი მივიღეთ. თუ კარგად მახსოვს, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ინგლისელები ძირფესვიანად გაეცნენ ჩვენი განათლების სისტემას და ისე მოეწონათ, რომ ეს სისტემა თავიანთ ქვეყანაში გადაიღეს და დანერგეს. ჩვენ კი აწყობილი სისტემა დავშალეთ და არაკომპეტენტური ხალხის ხელში ჩავაგდეთ. როდესაც სასწავლო პროგრამებიდან ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“ და სხვა შედევრებს ამოიღებ, რაღაზეა ლაპარაკი. იმასაც მოვესწარით, რომ ზოგიერთმა განათლების სისტემის სათავეში მოკალათებულმა მოღვაწემ „რეფორმები“ სკოლებში ვაშლების დარგებით და კომბლესთან და მის ცხვრებთან ბრძოლით დაიწყო. ახლა კი უმცროს კლასებში ჭადრაკის სავალდებულო სწავლების შემოღებით აპირებენ განათლების სისტემაში რევოლუციური პროცესების დაწყებას. მერე გვიკვირს ხოლმე, სტუდენტებმა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ რომ არ იციან და მესამე და მეოთხეკლასელის დონეზე აზროვნებენ. ვიდრე გლობალური და ფსევდოლიბერალური ძალების გავლენის ქვეშ ვიქნებით და მათ ჭკუაზე ვივლით, ამ არაკომპეტენტურობასა და უვიცობას ბოლო არ მოეღება და საბოლოოდ ცალმხრივად განვითარებული, უვიცი თაობა შეგვრჩება ხელთ.

– პროფესიულ განათლებაზე რას გვეტყვით, საჭიროა თუ არა ახალგაზრდა რომელიმე სპეციალობას ფლობდეს?

– იგივე უნდა ითქვას პროფესიული განათლების სისტემაზეც: გაგვაჩნდა ყოვლისმომცველი და აწყობილი პროფესიული განათლების სისტემა, პროფტექნიკური სასწავლებლების კეთილმოწყობილი და ყოველმხრივ დაკომპლექტებული ქსელი. ყველაფერი საკუთარი ხელით მოვსპეთ. სამაგალითოდ ავიღოთ მთელ საქართველოში ერთ დროს გამორჩეული ენისლის №2 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ფართო პროფილის კვალიფიციური სპეციალისტები იზრდებოდნენ. დღეს მის ადგილზე არსებული კორპუსებისა და სახელოსნოების ნანგრევებიღაა დარჩენილი.

ახლა მივხვდით, თურმე რაოდენ საჭირო ყოფილა და უკვე მთელი აჟიოტაჟია ატეხილი პროფესიული განათლების სისტემის საჭიროების თაობაზე, რომელმაც უნდა გადაჭრას სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხი. ყველაფერი თავიდანაა დასაწყები და მოსაწესრიგებელი. არადა, ყველაფერი ხომ გაგვაჩნდა, რაც მავანთა წინდაუხედაობის წყალობით დაინგრა.

– საჭიროა თუ არა ერის უგვირგვინო მეფის – ილია „მართლის“ ნაკარნახევი გზით სიარული, რათა მომავალმა თაობამ იცხოვროს ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველოში?

– არათუ საჭიროა, არამედ ჩვენი გადარჩენის მთავარი ორიენტირი სწორედ დიდი ილიას მიერ ნაკარნახევი გზით სიარულია. დიდი მამულიშვილის მიერ დანატოვარი ანდერძი – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – თითოეული ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განუყოფელი და ორგანული ნაწილი უნდა იყოს.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“ – ათქმევინა ილიას ჩვენი მრავალტანჯულ საქართველოს იმდროინდელმა რეალობამ. პოეტურად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყანა დღესაც მოწყენილია და ცრემლი სდის დუხჭირი ყოფის, ანტიქართული, გლობალისტური და ფსევდოლიბერალური ძალების აგრესიული თარეშისა და დაკარგული ისტორიული ტერიტორიების გამო. და ეს იარები ჩვენი საერთო ძალისხმევით, ეროვნული აზროვნებით, განათლებითა და დაუღალავი შრომით, ერის მამის მიერ ნაანდერძევი გზით სიარულის წყალობით უნდა მოვიშუშოთ.

ილია ცხოვრობდა საქართველოსათვის, იბრძოდა საქართველოსათვის და დაეცა საქართველოსათვის, მაგრამ არ მომკვდარა, იგი დღესაც ჩვენს გვერდითაა და გზას გვინათებს, რომელმაც საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს.

ეს გზაა სწორედ დიდი მამულიშვილის მიერ განკვალული გზა, რომელმაც ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველომდე უნდა მიგვიყვანოს!

– სადღეისოდ, უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა შქმნილი მსოფლიოს მასშტაბით, რუსეთ უკრაინის ომმა გამოიწვია საყოველთაო კრიზისი და არნახულად გაძვირდა პროდუქტებიც და საწვავიც, ასეთ ვითარებაში ეთანხმებით თუ არა საქართველოს მთავრობის მიერ არჩეულ პოლიტიკას?

– დღეს მთელ მსოფლიოში მართლაც უაღრესად დაძაბული და ფეთქებადსაშიში ვითარება სუფევს. ეს არ არის მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომი. საყოველთაო აღიარებით, რასაც საერთაშორისო დონის ექსპერტებიც ადასტურებენ, უკრაინაში მიმდინარე ომი გახლავთ დაპირისპირება რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, თავის ნატოსა და ევროკავშირთან ერთად. ამ კონფლიქტს ბევრი ქვეტექსტები და შენიღბული მიზნები ახლავს, რაზე საუბარიც ჩემს კომპეტენციას აღემატება. ფაქტია, რომ კაცობრიობა თავისი განითარების ახალ ეტაპზე გადავიდა – მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონობისათვის ბირთვულ ზესახელმწიფოებს შორის და რით დასრულდება ეს ყველაფერი, ჯერჯერობით გაურკვეველია. დასანანია, რომ ამ ყველაფერს უკრაინელი ხალხის სიცოცხლე ეწირება, უბრალო ხალხის, რომელსაც არაფერი დაუშავებია.

მთავარია, ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ არ შეგვეშალოს არაფერი და სწორი გზით ვიაროთ. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები სავსებით გამართლებულად მიმაჩნია, რაც ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების საწინდარია.

ანტიქართულ, გლობალისტურ ძალებს, შინაურ და გარეულ მტრებს ძალიან უნდოდათ საქართვლოში მეორე ფრონტის გახსნა, რასაც ემსახურებოდა ვიღაც არამკითხე საზღვარგარეთელი პოლიტიკოს-დეპუტატებისა და უკრაინის აშკარად პროფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენელთა უსაფუძვლო და ბინძური ბრალდებების გახმოვანება საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

მისასლმებელია, რომ საქართველოს მთავრობა ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით არ წამოეგო ანტიქართული ძალების პროვოკაციულ გამოხდომებზე და მტკიცედ ადგას სამშვიდობო პოლიტიკას. სწორედ ასეთია ქართველი ხალხის ნება და ეს ბოლომდე უნდა აღსრულდეს!

– უღრმესი მადლობა ბატონო ალიმან, საინტერესო და საქმიანი საუბრისათვის, უფალი იყოს შენი და შენი ულამაზესი ოჯახის შემწე და მფარველი.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

ილიასა და კოტეს შემდეგ ყვარელს ასეთი ღირსეული შვილი არ ჰყოლია

ეთერ ავაზაშვილის წიგნი „იგი წავა და სხვა მოვა“, რომელიც ავტორმა ყვარლის ღირსეულ შვილებს მიუძღვნა, უკვე დიდი ხანია დაიბეჭდა. წიგნის რედაქტორი იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე სილოვან ნარიმანიძე რომელმაც ამ წიგნის შექმნას დიდი მამულიშვილური საქმე უწოდა.

მიმდინარე წელს უდიდეს ქართველ მეცნიერს, ჩვენს თანამემამულეს ანდრია ბენაშვილს დაბადებიდან 154 წელი შეუსრულდებოდა. ხსენებული წიგნიდან გთავაზობთ წერილს შემოკლებით.

„ერთი მღვიძარე ქართველი“
ანდრია ბენაშვილი

ანდრია ბენაშვილი ყვარელში დაიბადა 1868 წელს, 5 აპრილს. მამა მიხეილ ანდრიას ძე სამხედრო მოსამსახურე იყო, მაიორი, დედა – ელისაბედ ლაზარეს ასული ყულდოაშვილი, დიასახლისი. ამ ოჯახში რვა შვილი გაიზარდა: ორი ქალი და ექვსი ვაჟიშვილი. ათი წლის ბავშვი თბილისის კადეტთა კორპუსში მიაბარეს, სადაც შვიდი წელი სწავლობდა. ამ სასწავლებლის მოწოდება ერთგული ოფიცრების აღზრდა იყო. აქ გამეფებულმა მკაცრმა რეჟიმმა ვერ ჩააქრო ნიჭიერი ყმაწვილის პატრიოტული გულისთქმა.

მშობლურ ენაზე გამოსცემს ხელნაწერ ჟურნალს „შრომას“, რომელიც მომავალი კარიერის დაკარგვის საფრთხეს უქადის. ჟურნალის დედააზრი იყო: გიყვარდეს ქართული ენა, შენი სამშობლო, მისი ისტორია და კულტურა. კარგად გაიცნობიერე ჩვენი სახელოვანი წინაპრების გმირული საქმეები.

1883 წლის მარტის ნომერში ვკითხულობთ: „საქართველო მოიღალა დიდი ხნის ბრძოლით, მას უნდა მოსვენება და ამიტომ დაიძინა... საქართველო, ადრე იქნება თუ გვიან, გაიღვიძებს“... 1884 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ორიოდე კითხვა ქართველების საყურადღებოდ“ – კითხვაზე რას ვხედავთ დღეს საქართველოში – ასეთი პასუხია: პირუტყვსავით მხოლოდ ჭამა და სმა. განცხრომით ჩაცმა-დახურვა, ქეიფი, ცუდ უბრალოდ საქართველოს მიწების ღუპვა... მეორეს მხრივ – შიმშილი, სიტიტვლე, მთელი სიცოცხლე ტანჯვა, წვალება...

უმაღლესი საზოგადოების ყურს არც კი სმენია ეს დიდმნიშვნელოვანი სიტყვები: „ერთობა, თავისუფლება, თანასწორობა“.

როგორ მეორდება ისტორია...

ამ ჟურნალებში გამოქვეყნებულია ანდრია ბენაშვილის მიერ შესრულებული ნახაზი „რუქა საქართველოისა თარგამოსიანთა“. იმ პერიოდში უდიდესი გავლენა მოახდინა ჟურნალმა ეროვნული სულის გაღვიძებაში. თავად ჟურნალის ფურცლებზევე გაუკეთდა კომენტარი იმ გაბედულ და მძიმე გადაწყვეტილებას, რომელიც რედაქტორის (ანდრია ბენაშვილის) უდიდეს რისკს წარმოადგენდა: „განა არა, ჩვენც ბევჯერ მოგვსვლია აზრი პარიზში ჟურნალის გამოცემისა, მაგრამ არ გვქონდა იმდენი გაბედულება. ვერ ვკისრულობდით ასეთ დიდ მოვალეობას... და ახლა უცებ „ერთმა მღვიძარე ქართველმა“ იკისრა ჟურნალის გამოშვება. ღმერთმა ხელი მოუმართოს“...

1883 წლის ნომერ 4-ში რედაქტორი ანდრია ბენაშვილი თვისივე ჟურნალ „შრომაში“ წერდა: „მე მინდოდა ჟურნალი გამომეშვა 2 ან 26 მარტს, მაგრამ ჩვენი პოეტის ორბელიანის სიკვდილმა დააბრკოლა მისი გამოსვლა. მეშვიდე ნომერი ამ წელს იქნება უკანასკნელი.

ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული დაბრკოლებები ნელ-ნელა დაუძლეველი ხდებოდა, 16 წლის ანდრია ბენაშვილი ხელს იღებს ჟურნალის გამომცემლობაზე. 1885 წელს ამთავრებს კადეტთა კორპუსს და სწავლას მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში აგრძელებს, რომელსაც ორი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს. 1887 წელს იგი უკვე თბილისშია სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში. საქართველოში მისი მოღვაწეობა სამხედრო სამსახურით არ იფარგლება. ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც, აქვეყნებს რამდენიმე მოთხრობას. „ივერიაში“ იბეჭდება მისი პიესები: „დაუსრულებელი ამბავი, ანუ თელაველი „ოტელო“, „დროთა ბრუნვა“ და სხვა. ისე, რომ თავის მხრივ ხარკს უხდის ქართულ დრამატურგიასაც. 1892 წლის 29 სექტემბერს „ივერია“ წერდა: „კვირას, 27 სექტემბერს ქართულმა დრამატულმა დასმა პირველად წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს ანდრია ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელო“ და ვალერიან გუნიას ვოდევილი „ხელერობა“. იმავე წლის 15 ოქტომბერს „ივერიაში“ გაჩნდა რეცენზეტ პეტრე ყიფიანის შემფასებლური აზრი: „ავტორს ცხადად ეტყობა უნარი დაკვირვების, ჩვენი ცხოვრებისა და სცენის ცოდნა, კაცის გულში საკმაოდ ღრმად იხედება და კითხულობს მის პასუხს. პირველი ნიმუში ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებისა სრულ იმედს გვაძლევს, რომ უფრო უკეთეს ნიმუშებს ვნახავთ იმის ნაწერებისას“.

ანდრია ბენაშვილი ჭეშმარიტად დიდ სახელს დაიმკვიდრებდა ქართულ ლიტერატურაში, ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი, ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა მიეღო უმაღლესი განათლება. მას კი მხოლოდ სამხედრო განათლების მიღების უფლება ჰქონდა. საკუთარი სურვილის შესრულებაში ის ყველაზე ძნელ გზას ირჩევს. 1899 წელს ანდრია ბენაშვილი მიუხედავად დიდი სირთულეებისა, წარმატებით აბარებს გამოცდებს გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე. მთელი უპიტარესობა ამ აკადემიის კურსდამთავრებული ოფიცრისა ის იყო, რომ მას უფლება ჰქონდა დისერტაციის დაცვის გარეშე წაეკითხა ლექციები ყველა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის სამოქალაქოშიც. გეოდეზისტის წოდება უთანაბრდებოდა ასტრონომიისა და გეოდეზისტის დოქტორის ხარისხს. ანდრია ბენაშვილი თეორიულ კურსს ბრწყინვალედ ამთავრებს და ორი წლით იგზავნება პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში სამუშაოდ. პულკოვოში ყოფნის დროს, მან დაწერა დისერტაცია თემაზე: „განედის“ განსაზღვრა ორი ვარსკვლავის შესატყვის სიმაღლეთა და ამ ვარსკვლავთა ზენიტურ მანძილთა მცირე განსხვავების გაზომვის მიხედვით“. გენერალური შტაბის კონფერენცია დისერტაციას აღიარებს როგორც თვალსაჩინო მეცნიერულ გამოკვლევას, ბეჭდავენ, ითარგმნება და იბეჭდება ფრანგულ სპეციალურ გამოშვებაში.

1901 წელს ანდრია ბენაშვილს ნიშნავენ ტრიანგულაციის დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ, შემდეგ სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობის პერიოდში მრავალჯერ იყო სამეცნიერო მივლინებებში: გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, ავსტრია-უნგრეთში და შვეიცარიაში... 1902-16 წლამდე მას იწვევენ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. პარალელურად კითხულობს ტოპოგრაფიის კურსს პავლოვისა და მიხაილოვის სამხედრო სასწავლებლებში. პირველი მსოფლიო ომის დროს ოფიცერი ანდრია ბენაშვილი არნახულ წარმატებებს აღწევს. იგი გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ბრუნდება სამშობლოში. 1918 წლიდან იგზავნება კავკასიის ზურგისა და მომარაგების არმიის უფროსად.

მსოფლიოს სხვადასხვა მერიდიანებზე მყოფს ყველგან თავისი ქვეყნის სიყვარული სდევდა თან, ფიქრი მშობლიურზე... მისი ოცნება იყო არარსებულ ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა. მისი ჩამოსვლა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს დაემთხვა, იგი ღირსეულად ჩადგა ივანე ჯავახიშვილის თანამესაგნრეთა შორის და სავსებით დამსახურებულად დაიმკვიდრა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ადგილი. 1918 წელს, 13 იანვარს პეტრე მელიქიშვილის ბინაზე შემდგარ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მეოთხე ოფიციალურ სხდომას ესწრება და აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევაში. პირველსავე განცხადებაში უნივერსიტეტის პირველი კოლეგის შესახებ იწერება: „პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გეოდეზიისა და ვარსკვლავთმცოდნეობის პროსფესორი ლექციების კითხვას დაიწყებს სამათემატიკო განყოფილების გახსნის შემდეგ“. პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი პირველი პროფესორები იყვნენ ბუნებისმეტყველების დარგში.

1897 წლიდან 1917 წლამდე თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიას ხელმძღვანელობდა პროფესორი ვ. გლასეკი, თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის ამოცანას წარმოადგენდა ქალაქ თბილისში მუდმივი მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები, აგრეთვე კავკასიის კლიმატური და ფიზიკური გარკვევა.

1917 წელს პროფესორი გლასეკი ტოვებს თბილისს და მშობლიურ ვარშავაში მიემგზავრება. ობსერვატორიის დირექტორად ერთსულოვნად ინიშნება ანდრია ბენაშვილი. მას არასოდეს სურვებია საქართველოდან სხვა ქვეყანაში წასვლა. უნივერსიტეტის დაარსების დღიდან 1936 წლამდე განაგებდა ასტრონომიისა და გეოდეზიის კატედრას. მან დააარსა ხსენებული ორივე კათედრა, რამაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოში მეცნიერების განვითარებას.

მსურდა ქრონოლიურად დამელაგებინა ყველა მისი წოდება და მეცნიერული მიღწევა, რომელიც კი გენერალ-მაიორმა, პროფესორმა, მეცნიერმა, უამრავი წიგნის ავტორმა და მრავალი სიახლეების აღმომჩენმა ანდრია ბენაშვილმა თავისი 73 წლიანი სიცოცხლის მანძილზე მოიპოვა... ეს ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ერთი ადამიანისგან ამდენი ერთად – მითად მივიჩნიე. მერე რა! ასეთ ლეგენდარულ წარმატებებს უმადურება ფეხდაფეხ დასდევს. 1931 წლის მარტში უნივერსიტეტიდან ითხოვენ პროფესორებს: ივანე ჯავახიშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს, გიორგი გეხტმანს, გიორგი გამყრელიძეს და სხვებს. ითხოვენ, როგორც შეუფერებლებს სოციალისტური მშენებლობისთვის კადრების აღზრდის საქმეში. ანდრია ბენაშვილი ჩამონათვალთა შორის ეროვნული ზრდისა და მიღწევებისთვის ვისზე ნაკლებად საჭირო და გამოსადეგი კაცი იყო, რომ მის ცხოვრებაზეც არ გადაევლო უმეცართა და დამქაშთა სისასტიკეს. ე.ი. უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. ეს უსამართლობაც იყო და უმადურობაც. საბედნიეროდ, ეს შეცდომა მალე გამოსწორდა.

როგორც მისი ღირსეული სტუდენტი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე აღნიშნავს: „ანდრია ბენაშვილი შეუდარებელი ლექტორი, მეცნიერების განვითარების თანამედროვეობის დონეზე მდგარი პროფესორი, ამასთან უკომპრომისო, სიმართლის ჯიქურმთქმელი პიროვნება იყო, რაც მას მომდურავებს უმრავლებდა, მაგრამ მოძულე მტერი არ ჰყოლია“.

ანდრია ბენაშვილზე მასალის მოპოვებაში დიდი დახმარება აღმომიჩინა მისმა ნათესავმა, მწერალმა, ამჟამად ლიტერატურული ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა გურამ ბენაშვილმა. მან დამაკავშირა აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან, რომელმაც თანადგომა გამომიცხადა ამ კეთილშობილურ საქმეში და მომაწოდა სიტყვიერი თუ სხვა სახის მასალები. როდესაც ვეცნობოდი გენერალ-მაიორის ანდრია ბენაშვილის ცხოვრებას, მაგონდებოდა ბატონ გურამ ბენაშვილის სიტყვები – ილიასა და კოტეს შემდეგ ყვარელს ასეთი ღირსეული შვილი არ ჰყოლია.

რასაკვირველია, ასეთი შეფასება სამართლიანია მაგრამ ანდრია ბენაშვილი უფრო დიდი იყო საქართველოსთვის, ვიდრე ყვარელი ანდრია ბენაშვილისთვის. მშობლიურმა ყვარელმა ღირსეულად შეაფასა თავის მიწა-წყალზე დაბადებული შვილი და 1998 წელს მისი დაბადებიდან 130 წლისთავი დიდი პატივისცემით აღნიშნა.

ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა სოხუმში, 1941 წლის 28 ივნისს. სამამულო ომის დაწყებიდან ექვსი დღის შემდეგ. დიდი მასწავლებლის ნეშტი მისმა მადლიერმა მოსწავლეებმა პროფესორ ნ. თევზაძის თაოსნობით თბილისში გადმოასვენეს. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ დიდი მისაღები ოთახიდან მშვიდი, აუჩქარებელი ნაბიჯით გამომაცილა, სვენებ-სვენებით. ამ დროში დიდი მეცნიერი კვლავ დიდ მეცნიერზე მესაუბრებოდა: „თქვენ გულმოდგინეთ წაიკითხეთ მისი ორი წერილი თავისი უახლოესი მეგობრის ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი. ის ისე კი არ წერს, როგორც ტოლი ტოლს და მეგობარს, ის თითქოს თავის პედაგოგს წერდეს, როგორც მოსწავლე პედაგოგს, ამ წერილებითაც შეიძლება დაადგინოთ მისი მოკრძალებული ხასიათი. ასეთი იყო ის თავის მოსწავლეებთანაც, ისეთი ტონი ჰქონდა მათთან, როგორც მეგობართან. არასოდეს გაიცხავდა სტუდენტს, არც ცუდად მიმართავდა, ისე ეპყრობოდა, როგორც კოლეგას. ის ხშირად გვეპატიჟებოდა ჭიქა მურაბიან ჩაიზე. მეუღლე რუსი ჰყავდა, მაგრამ ისიც სტუმართმოყვარე“.

ვიცი, მკითხველს დაინტერესებს ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი ზემოთ ხსენებული ორი წერილი, როდესაც ივანე ჯავახიშვილი გაათავისუფლეს და უკვე იწყებოდა მისი ლანძღვა-გინება, ანდრია ბენაშვილი აუცილებლად თვლის გულმხურვალე წერილები მისწეროს მას.

აკადემიკოს ევგენი ხარაძისგან ვბრუნდებოდი კმაყოფილზე კმაყოფილი და როგორც ბატონმა ევგენმა დამიხასიათა, თან მომყვებოდა გენერალ-მაიორის ანდრია ბენაშვილის სახება, რომელსაც არასოდეს უყვარდა სტუდენტების გაიცხვა, მაგრამ უყვარდა მათი მიპატიჟება ერთ ჭიქა მურაბიან ჩაიზე, მასავით სტუმართმოყვარე რუს მეუღლესთან ერთად.

მოვდიოდი ამაყი, რომ ამ კაცის თანამემამულე ვიყავი.

P.S. 1998 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში ჩატარებული კონფერენციის მონაწილე მეც გახლდით, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოწვეული მათი კოლეგები**, რომელთა** გამოსვლებში ხაზი გაესვა ანდრია ბენაშვილის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენებს და უდიდეს დამსახურებას როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიოს წინაშე.

ჩვენ, ყვარლელებს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვამაყობდეთ ყვარელში დაბადებული უდიდესი კორიფეებით, რომელთა ღვაწლი შეუფასებელია სამშობლოს წინაშე.

განსაკუთრებით უნდა ვიამაყოთ იმითაც, რომ ყვარელში მოღვაწეობდნენ ისეთი უდიდესი მამულიშვილები – როგორებიც იყვნენ აბიბოს ნეკრესელი, ქეთევან წამებული, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ფერაძე – რომლებიც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანებად შერაცხა, ხოლო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა კოტე მარჯანიშვილის და, ქალბატონი თამარი წმინდანად აღიარა. საქართველოს ამ პატარა რეგიონში ხუთი წმინდანი მოღვაწეობდა, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას და ერისათვის მამულიშვილური საქმეების კეთებას შესწირეს სიცოცხლე და მაგალითი გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ სამშობლოს. ეკლესიურ ადამიანებს გვწამს, რომ ისინი უფალს და მარიამ ღვთისმშობელს მუდამ შესთხოვენ საქართველოს გადარჩენას და ერის გამრავლებას.

დიდება უფალს, დიდება მარიამ ღვთისმშობელს, დიდება ჩვენს წმინდანებს! მოწიწებით გევედრებით გადაგვირჩინეთ საქართველო და წყალობა არ მოაკლოთ ქართველებს!

უფალი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი!

ალექსანდრე გიგილოშვილი

შენ, ჩვენი ვალერი ვასილიჩი იყავი ყოველთვის და ამადვე დარჩები, ვიდრე ამ წუთისოფელში ყოფნა გვიწერია

ვალერი ზურაშვილი

ორმოცი დღე მიილია შენი წასვლიდან, ჩვენო ვალერი ვასილიჩ!

ახლა, როცა ეს ტკივილიანი სტრიქონები იწერება, შენ უკვე ძალიან შორსა ხარ ჩვენგან. შენი სული ზეცაშია, სულთა საუფლოში, ხოლო სხეულზე მშობლიური მიწა გაყრია, შენი საფიცარი ქართული მიწა და მშვიდად განისვენებ, უგრძნობელი და უშფოთველი, ვეღარ მოგაწვება ჩვენი წუხილისა და ტკივილების სიმძლავრე და ვეღარ დაგვამშვიდებ გულთბილი გრძნობების გამოხატვით, როგორც შენ გჩვეოდა!

დაუჯერებელია...

მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით – ასეთი ყოფილა ჩვენი უკუღმართი წუთისოფლის დაუწერელი თუ დაწერილი კანონები, ბედისწერის განაჩენი...

შენ ღირსეულად ატარე ამ ცხოვრების მძიმე ტვირთი და პირნათელი წარდექი უფლის წინაშე.

ჩვენ კი ისღა დაგრჩენია კიდევ ერთხელ მადლობა გითხრათ ღირსეული მამულიშვილობისათვის, ვაჟკაცობისათვის, ნიჭიერებისა და სილამაზისათვის, მეგობრობისათვის, რაშიც ყოველთვის უანგარო და უღალატო იყავი. და კიდევ ნიჭიერებისა და ნაყოფიერი ჟურნალისტური საქმიანობისათვის, რამაც შეგაქმნევინა დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 წლისთავისადმი მიძღვნილი უნიკალური გამოცემა – „თქვენი ვარ შვილი“, წიგნი – შედევრი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს და ისტორიაში დარჩება, როგორც ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საგანძური.

წახვედი და თან წაიღე სიკეთით სავსე გული, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა და უკმარისობის გრძნობა გვეუფლება, რომ იმ განსაცდელის ჟამს, როცა ცხოვრებით დამაშვრალმა გულმა გიღალატა, შენს გვერდით ვერ ვიყავით... იქნებ რაიმეთი დაგხმარებოდით...

კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და კაცურად გაიარე ამ ნარეკლიანი წუთისოფლის დასასრულამდე. უამრავი ადამიანის სიყვარული და ცრემლების ზღვა გაიყოლე უკანასკნელ გზაზე!

კიდევ ერთი ღირსეული მეგობარი დააკლდა შენი სახით დიდ საძმოს. აფსუს, რა ცოტანიღა ვრჩებით ამ ქვეყანაზე, შენი წასვლის შემდეგ...

ძალიან გვაკლიხარ, გვენატრება შენეული სითბო, ყურადღება და სიყვარული, რასაც ყოველთვის უშურველად გამოხატავდი. ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება შენი ვაჟკაცური სახე, შენთან ერთად გატარებული სასიამოვნო დღეები ლხინის სუფრაზე და გული გვწყდება, რომ ვეღარ მოვისმენთ შენს საყვარელ სიმღერას, ქეიფის აზარტში შესული რომ წაიღიღინებდი ხოლმე:

ლალე, ლალე, დივლი-დარალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ
შენ კი გენაცვალე...

აწ უკვე შენი საყვარელი სამშობლოს მიწამ ჩაგიხუტა სამარადისოდ. დაე, მსუბუქი და თბილი ყოფილიყოს იგი შენთვის!

კიდევ ერთხელ გემშვიდობებით, ნათელი დაგადგეს იმქვეყნად. შენ, ჩვენი ვალერი ვასილიჩი იყავი ყოველთვის და ამადვე დარჩები, ვიდრე ამ წუთისოფელში ყოფნა გვიწერია!

არასოდეს დაგვავიწყდებით...

ალიმან ლაფაჩიშვილი,
ალექსანდრე გიგილოშვილი,
კაკო ჯოხაძე, ლერი ტურაშვილი,
მერაბ სეფაშვილი, ზურაბ ტუშური,
რამაზ გოგიტაშვილი, ილია ჩხეიძე,
ვიტალი მირიანაშვილი,
ვახტანგ მეტრეველი, ვაჟა ჭერაშვილი,
ზაური ცუკილაშვილი

ქეთინო რუსიაშვილის ხსოვნას

მიილია შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეც, ჩვენო საყვარელო მეგობარო, თანაკლასელო და ყველასთვს ახლობელო ქეთინო. ჩვენთვის, შენი მეგობრებისთვის ძნელია როცა უკვე იმ ქვეყანაში გილოცავთ 80 წლის იუბილეს, – 3 აგვისტო ხომ შენი დაბადების დღე იყო. ყოველ წელს შენს სახლში ზეიმით აღვნიშნავდით ხოლმე შენს დაბადების დღეს შენი ყველაზე ახლო მეგობრები და ბედნიერები ვიყავით. ჩვენო ქეთევან, ახლა უკვე ჩვენო დიდო ტკივილო, ყველა ჩვენი ოჯახის სირთულეებს ხომ შენი გვერდში დგომით გადავლახავდით ხოლმე. ამისთვის ყველასგან დიდი მადლობა. შენ იყავი უზომოდ კეთილი და ყურადღებიანი, ყველას მიმხედი, პატივისმცემელი და დამრიგებელიც კი. მთელი შენი ცხოვრება ხალხის სამსახურში გაატარე. ბოლო ხანს, როცა შეუძლოდ იყავი, შენს კართან მოსულ გაჭირვებულს უკან არავის გააბრუნებდი და ანალიზს მაინც გაუკეთებდი, – უტყუარ ანალიზს. შენი ანალიზის გაკეთებაში ეჭვი არავის ეპარებოდა და ამიტომ იყო, რომ პაციენტთა სიმრავლე იყო ყოველთვის შენს კართან. იცოდი შინაური და გარეულის პატივისცემა. იმდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული ხალხისთვის, რომ ეჭვი არ გვეპარება სამოთხეშია უკვე შენი სული. ყოველთვის ვილოცებთ და ყოველთვის იქნები ჩვენთვის გასახსენებელი, ჩვენო უკეთილშობილესო მეგობარო. ნათელი ედგეს შენს სულს და შენს სამუდამო განსასვენებელს.

თანაკლასელები:
ნათელა საბაშვილი, ია იაშვილი,
ზაირა ზაუტაშვილი, კაკო, ნუკრი
სეფაშვილები

რა უნდა ვიცოდეთ ყირიმ-კონგოს ცხელების შესახებ

დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა იმის საწინდარია, რომ დაავადება არ გართულდეს და მძიმე შედეგი არ მივიღოთ

უკანასკნელ თვეებში საქართველოში განსაკუთრებით საშიში დაავადების, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების, შემთხვევები გახშირდა. პირველად ამ დაავადების დიაგნოსტირება, საქართველოში რამდენიმე წლის წინ მოხდა.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება (CCHF) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც იწვევს ვირუსის ერთ-ერთი სახეობა. ეს ვირუსი განსაკუთრებით საშიშ პათოგენთა ნუსხაშია. ენდემიური კერები გავრცელებულია აფრიკაში, აზიაში, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, თურქეთში.

გამომწვევის ბუნებრივი რეზერვუარები არიან მღრღნელები, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფრინველები, გარეული ძუძუმწოვრები, ასევე დაავადების გადამტანები – ტკიპები, რომლებიც მთელი სიცოცხლე ვირუსმტარებლები რჩებიან და ვირუსს შთამომავლობას გადასცემენ. ინფექციის წყარო ინფიცირებული ცხოველი ან ავადმყოფი ადამიანია. ინფექციის გადამტანია 20-ზე მეტი სახეობის ტკიპაა.

დაავადების გამომწვევი გარეული ძუძუმწოვრებისგან ტკიპის მეშვეობით შინაურ ცხოველებს გადაედება, მათგან კი – ისევ ტკიპის საშუალებით – შესაძლოა ადამიანი დასნებოვნდეს. ამდენად, ადამიანისთვის ძირითად საფრთხეს წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოადგენს. მსოფლიო სტატისტიკით დაავადებულთა 15%-ის (ხშირად გაცილებით მაღალი – 30-40%) გადარჩენა ვერ ხერხდება, უფრო კონკრეტულად, თურა არის ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება, რა საფრთხეს წარმოადგენს ის ჩვენთვის, როგორ ვრცელდება, რა სიმპტომები (კლინიკური ნიშნები) აქვს, როგორ უნდა მოვიქცეთ ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, როგორ ხდება დიაგნოზის დადგენა და მკურნალობა, რამდენად ეფექტურია პრევენციული ღონისძიებების გატარება და როგორ ხდება ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელების მკურნალობა, ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრება, ყვარლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა სეფაშვილი.

– პირველად ეს დაავადება საქართველოში 2009 წელს დაფიქსირდა, ყოველწლიურად გვქონდა 1-10-15 შემთხვევა. წელს ბევრად მოიმატა. 2009 წლიდან დღემდე ქვეყანაში დაფიქსირებულია ყირიმ-კონგოს სულ 164 შემთხვევა. მათგან 21 გარდაიცვალა. ბოლო 7 თვეში ქვეყანაში დადასტურდა დაავადების 42 შემთხვევა. გარდაიცვალა 2 პაციენტი. ჩვენთან ეს დაავადება გავრცელებულია ენდემურად. ძირითადი გავრცელების რეგიონებია – სამცხე – ჯავახეთი, შიდა ქართლი, კერძოდ კი ხაშურის მუნიციპალიტეტი.

ყირიმ – კონგოს ჰემორაგიული ცხელება არის ვირუსული დაავადება, რომელიც ძირითადად ტკიპებს გადააქვთ. გადადება ასევე შესაძლებელია დაინფიცირებული ცხოველის ქსოვილებთან (ქსოვილთან, საიდანაც ვირუსი სისხლში შევიდა) კონტაქტით ამ ცხოველის დაკვლის დროს ან უშუალოდ დაკვლის შემდეგ. ვირუსი ბინადრობს ცხოველებშიც – თაგვებში, კურდღლებში, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში, ცხვრებში, თხებში.

ყირიმ-კონგოს დაავადების რქოსან პირუტყვებში გავრცელება საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის, რადგან ამ ვირუსმა შეიძლება გამოიწვიოს ეპიდემიები. აქვს სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი (10-40%-მდე), ხშირია საავადმყოფოებში და ჯანდაცვის დაწესებულებებში გავრცელების შემთხვევები, რადგან დაავადებული ადამიანი თვითონ ხდება დაავადების გამავრცელებელი.

დაავადება პირველად 1944 წელს აღწერეს ყირიმში, 1969 წელს დაადგინეს, რომ ამ დაავადებას იწვევდა იგივე პათოგენი, რომელიც 1956 წელს კონგოში იდენტიფიცირებულ დაავადებას იწვევდა. ამ ორი ადგილის ასეთი კავშირი აისახა დაავადებისა და ვირუსისი სახელწოდებაში.

ტკიპის კბენით ვირუსის გადაცემის შემთხვევაში, ყირიმ-კონგოს საინკუბაციო პერიოდი ძირითადად 1-3 დღეა, მაქსიმალური პერიოდი კი ცხრა დღე, ხოლო ინფიცირებულ სისხლთან ან ქსოვილთან კონტაქტის შემთხვევაში დაავადების საინკუბაციო პერიოდი 3-14 დღე.

ადამიანი ავად ხდება ინფიცირებულ ტკიპთან კონტაქტით (კბენა ან გაჭყლეტილ ტკიპთან შეხება), ავადმყოფი ცხოველის სისხლთან კონტაქტით (დაკვლაში ან ცხოველის მშობიარობაში მონაწილეობა), ავადმყოფი ადამიანის სისხლთან კონტაქტით არაპასტერიზებული რძის მიღებით.

სიპტომებია: ცხელება, კუნთების და თავის ტკივილი, ასევე მუცლის არეში, გულისრევა-ღებინება, გამონაყარი, სისხლჩაქცევები კანზე, სისხლდენები სახვადასხვა ღრუებიდან (ცხვირიდან, ღრძილებიდან, საშვილოსნოდან), კუჭ-ნაწლავიდან, ჩაწითლებული თვალები. ორი ან ოთხი დღის შემდეგ იწყება ძილიანობა, დეპრესია, დაღლილობა, გადიდებული ღვიძლი, პირის ღრუში და ყელზე გამონაყარით.

მსგავსი სიმპტომების შემთხვევაში დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს. დაგვიანებული შემთხვევების მკურნალობა შეიძლება დასრულდეს სიკვდილით.

დროულად დასმული დიაგნოზისა და ჩატარებული მკურნალობის შემდეგ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ინკურნება.

აღსანიშნავია, რომ დასნებოვნების მაღალი რისკის ქვეშ არიან უმთავრესად სოფლად მცხოვრები ზრდასრული პირები, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ შინაურ ცხოველებთან.

მკურნალობის თვალსაზრისით ეფექტურია ანტივირუსული პრეპარატი რიბავირინით მკურნალობა, მისი როგორც ორალური ისე ინტრავენური მიღება. გამოჯანმრთელებულ პაციენტებში მდგომარეობის გაუმჯობესება იწყება დაავადების დაწყებიდან მე-9 მე-10 დღეს.

ყირიმ-კონგოს ინფექციის პრევენცია ან კონტროლი ცხოველებში და ტკიპებში ურთულესია, რადგან ტკიპა-ცხოველი-ტკიპის ციკლი ძირითადად შეუმჩნევლად მიდის და ძირითადად შინაურ ცხოველებში ინფექცია აშკარა არ არის. დაავადების კონტროლის ერთადერთი რეალური გზაა ტკიპების კონტროლი აკრაციდებით (ნივთიერებით, რომელიც ტკიპებს ანადგურებს) ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს ვაქცინა ცხოველებისთვის და ადამიანებისთვის. გამომდინარე აქედან ინფექციის შემცირების ერთად-ერთ გზას წარმოადგენს ცნობადობის გაზრდა რისკ – ფაქტორების შესახებ და იმ ზომების სწავლება რომელთა მიღებაც მათ შეუძლიათ ვირუსისაგან თავის ასარიდებლად.

დიაგნოზი ძირითადად. „პისიარ“ ტექნოლოგიით დგინდება პირველი 6-7 დღის განმავლობაში ეს ძირითადად ლუგარის კვლევით ცენტრში ტარდება, მკურნალობა კი სტაციონარულია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებულ ინფექციურ კლინიკებს ყირიმ-კონგოს მკურნალობაში საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს.

პრევენციის თვალსაზრისით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის და სამედიცინო მუშაკები კარგად უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულები დაავადების ადრეულ სიმპტომებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ასევე, პაციენტებმა დროულად მიაკითხონ სამედიცინო დაწესებულებებს. დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა იმის საწინდარია, რომ დაავადება არ გართულდეს და მძიმე გამოსავალი არ მივიღოთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განსაკუთრებით ვეტერინარული დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე შიდა ქართლში, სადაც ენდემური კერებია. აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის ინფორმირება, ცხოველების დამუშავება, ტკიპების საწინააღმდეგო ნივთიერებებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების წარმომადგენლები მუშაობენ მესაქონლეებთან, თუ რა უნდა გააკეთონ პირველივე სიმპტომის შემთხვევაში.

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

როგორ უნდა მოუაროთ მაცივარს, რომ სიცხეში არ გადაიწვას!

ზაფხულში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საგრძნობლად მატულობს, ხშირად ტექნიკას პრობლემა ექმნება. მაგალითად, მაცივრის ხელოსნები ამბობენ, რომ ამ პერიოდში უამრავი კლიენტი აკითხავთ – მაცივარი მწყობრიდან გამოდის როგორც სახლში, ოთახის პირობებში, ასევე მაღაზიებში, განსაკუთრებით, სანაყინე მაცივრები, რომლებიც ქუჩაშია გამოტანილი.

მაცივრის ხელოსანი პავლე გველესიანი AMBEBI.GE-ს მკითხველს მაცივრის მოვლასთან დაკავშირებით საჭირო რჩევებს უზაირებს:

– სიცხეში ოთახის ტემპერატურა +32 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. როდესაც +32 გრადუსს მიუახლოვდება, ასეთ დროს, აუცილებელი რეკომენდაციაა, მაცივარი გამოირთოს, რადგანაც ოთახის პირობებში ხშირად ფუჭდება. ძრავა როგორც კი ხურდება, მწყობრიდან გამოდის. მაცივარს ოთახის ტემპერატურა თავისთავად ახურებს, რასაც ძრავის გაცხელება ემატება. გაგრილებას ვერ ასწრებს და ყველაფერი ფუჭდება.

დეტალები სიმხურვალისგან ფართოვდება, ცვეთა მატულობს, ფრეონის წნევა იზრდება და ძრავა დიდი დატვირთვით მუშაობას. მაღალი ტემპერატურა ფრეონის წნევაზე აისახება, რაზეც ჩვენი მაცივრის ძრავები არ არის გათვლილი. თუმცა, არსებობს მაცივრები, ძლიერი ძრავებით, რომლებიც სამხრეთ ქვეყნებისთვისაა გათვლილი და შეიძლება +37 გრადუსზეც გაძლონ. ისინი უფრო ძვირია და მეტი წარმადობისაა.

ჩვენი მაცივრები ჩრდილოეთის ქვეყნებისთვისაა. აქ ძვირი საქონელი არ შემოაქვთ, ამას ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან ეს სტანდარტები საქართველოში არ მუშაობს. არადა, ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ზაფხულობით სერიოზული სიცხეებია, რაც გლობალურ დათბობას უკავშირდება და მგონი, საქართველო ნელ-ნელა უდაბნოს ჰავის ქვეყანა ხდება...

– კონდიციონერით გაგრილებულ ოთახში არსებული მაცივარი საფრთხისგან დაცულია?

– იქ, სადაც ოთახის გაგრილებას კონდიციონერით ახერხებენ, მაცივარი არ ფუჭდება, ამ სიცხეში ეგ თუ უშველის და დაეხმარება იმაში, რომ ჰაერის ტემპერატურა დაბლა დასწიოს.

– ე.წ. „ვინტილატორი„ ტემპერატურას ვერ დაარეგულირებს?

– შველის, მაგრამ ის მაინც იმავე ოთახის ტემპერატურას უბერავს, მაგრამ «ვინტილატორი» გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს – ოთახი გრილდება. სულ არაფერს ჯობია, მაგრამ უკეთესია, კონდიციონერი ჩაირთოს. ამაზე ელექტროენერგიის დაზოგვა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ ზარალში აღმოჩნდებიან.

– ხშირად ნაყინის მაცივრები მაღაზიებს გარეთ აქვთ გამოტანილი. ვისაც იმის საშუალება არ აქვს, მაცივარი მაღაზიაში შეიტანოს, უადგილობის გამო იძულებულია, გარეთ დატოვოს. 41 გრადუს სიცხეში როგორ უნდა მოიქცეს?

– ასეთი მაცივრებისთვის +41 გრადუსი უფრო სასურველი ტემპერატურაა, ვიდრე სახლში +32 გრადუსი, რადგანაც გარეთ ნიავი მაინც ხვდება და ცოტათი აგრილებს. ფაქტია, რომ ისინი მზის გულზე არ უნდა იდგეს, მზის სხივები არ უნდა ხვდებოდეს. ისეთი მოწყობილობა, როგორიც კონდენსატორია, საიდანაც ფრეონის კონდენსაცია ხდება, რომ არ დაზიანდეს, ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ. ამიტომ, გაგრილება აუცილებელია. საერთოდ, ფრეონი თავიდან 85 გრადუსზე მაღლა უნდა გაცხელდეს, მერე აუცილებლად 53 გრადუსამდე გაგრილდეს, რომ ისევ თხევადად გარდაიქმნას. თუ ამას გარე ტემპერატურის გამო ვერ ახერხებს, გამოდის, შიგნით ცხელი ჰაერის ნაკადი შედის, რის გამოც ფრეონი „დარბის“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაცივარი კი არ აცივებს, პირიქით, თავის თავს აცხელებს. აქედან გამომდინარე, აგრეგატი უნდა გაითიშოს. არის კიდევ ერთი მომენტი – ხალხს ჰგონია, გაუსაძლისი სიცხის დროს, მაცივრის სპეციალური ნიშნულები მაქსიმალურზე უნდა ასწიონ, მაგალითად, 5-6-7-ზე. მეტი რიცხვები არ აქვს, თორემ უფრო მეტზეც ასწევდნენ. ეს რიცხვები მაცივარს სიჩქარეს არ მატებს. პირიქით, ასეთ დროს დაბალ რიცხვებზე უნდა დავაყენოთ, რომ ძრავამ მინიმალურ ზღვარს მაინც მიაღწიოს.

მოკლედ, ციფრები ტემპერატურას არ ნიშნავს, ის მისი პოზიციაა. პირველი პოზიცია, უფრო ცივს ნიშნავს, ვიდრე მაღალი ნიშნულები. მთავარია, ერთ საათში ძრავამ ერთხელ მაინც მოახერხოს გათიშვა, რომ გაგრილდეს. შიდა დეტალები არ უნდა გადახურდეს. თუ არადა, ასეთ დროს ბევრი ცუდი რამ ხდება. თერმოსტატიც არ გაითიშება და ძრავა გაჩერდება.

– რა რეკომენდაცია შეგიძლიათ იმ მაცივრებისთვის გასცეთ, ვისაც ქუჩაში უდგათ ისინი. როგორ უნდა მოიქცნენ?

– თუ საშუალება არ აქვთ, მაღაზიაში შეიტანონ, გარეთ ჩრდილი მოუწყონ, სპეციალური ქოლგების ქვეშ მოაქციონ. ისე, მაღაზიებში როცა მჭიდროდ დგას მაცივრები, თავისი სიმხურვალით ერთი მეორეს უფრო ახშობს. ქუჩაში ასე მჭიდროდ რომ დააწყონ, ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან – როდესაც კონდენსატორი ცხელდება, ტემპერატურა მაღლა ადის და ეს შველის, შენობაში სიცხე ზევით ვერ „გარბის“, ის არსებულ სივრცეს ავსებს და მაცივარი იხრჩობა.

„წარსულის ტკივილი, რომელიც დამშვიდების უფლებას არ გაძლევს და სიხარული, რომელიც დროებით ყველაფერს გავიწყებს“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

პოეზია და ლექსის კითხვის სტილიც არაჩვეულებრივი ჰქონდა.

თამუნას გარდაცვალებით დიდი და მწარე დარტყმა მიიღეს მშობლებმა, ოჯახმა და ახლობლებმა. კახეთის რეგიონში ცნობილმა ექიმმა, გასტროენტეროლოგმა ბატონმა ზაზა ქარენაშვილმა და მამიდამ, აწ განსვენებულმა ქალბატონმა ვენერა ქარენაშვილმა ყველაფერი იღონეს, რომ დედით ობლად დარჩენილი ბავშვებისთვის არაფერი დაეკლოთ. ასეც მოხდა, – სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და ასევე წრმატებით დაამთავრეს. – ელენემ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბაკალავრიატი ეკონომიკისა და ბიზნესის განხრით, მოიპოვა მაგისტრატურის ხარისხი „აისეტში“ – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში.

ნესტანმა დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის განხრით. გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ესპანეთსა და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, დღეს ორივენი საბანკო საქმიანობით არიან დაკავებულნი.

გაზეთის რედაქციამ ინტერვიუ სთხოვა მათ, რათა ესაუბრათ თავიანთი წარმატებული საქმიანობის შესახებ.

– რას გვეტყოდით იმ დროზე, რომელმაც შეცვალა თქვენი ცხოვრება?

– ყოველთვის გვიჭირს წარსულზე ლაპარაკი, მით უმეტეს იმ წარსულზე, რასაც დედის დაკარგვა ჰქვია. ჩვენც და ალბათ იმასაც ეგონა, რომ ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნებოდა და ჩვენს ლხინსა თუ ჭირს გაიზიარებდა, მაგრამ უფლის ნებით ეს ასე არ მოხდა. ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ მისთვის, მისი სამუდამო ნათელი სასუფევლისათვის

– ხშირად გიწევთ თვითმფრინავით მგზავრობა სხვადასხვა ქვეყნებში. რა შეგრძნება გაქვთ, როცა თვითმფრივანში ჯდებით, არ გეშინიათ?

– ნესტანი, – არა, არ გვეშინია, იმიტომ, რომ ყოველთვის ვგრძნობთ, რომ დედის სული მიგვიძღვის წინ და ვიცით, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ასეც ხდება ხოლმე. მოგზაურობა გვიყვარს,

– შესაბამისად, თვითმფრინავში ჯდომა ჩვენთვის უჩვეულო არაა. ფრენა საშიში არ არის, თუმცა თვითმფრინავში ყოველი ჩაჯდომის წინ მაინც ვღელავთ და გვიხარია, როდესაც მიწაზე ვეშვებით. თვითმფრინავიდან დანახული პეიზაჟები კი დაუვიწყარი კადრებია, იქნება ეს მწვანედ მოლივლივე მთები და ტყეები თუ თეთრი ღრუბლების რბილი და ჰაეროვანი მოძრაობა. გუნდთან ერთად მოგზაურობა კიდევ უფრო სახალისოა და, შესაბამისად, ფრენის დრო ძალიან მალე გადის.

– ვიცით, რომ მღერით. ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელთან არსებულ გუნდში, რამ განაპირობა თქვენი ამ გუნდში მოხვედრა?

– ელენე – უნივერსიტეტში მეგობრებისგან გავიგეთ გუნდის არსებობის შესახებ. გუნდის ხელმძღვანელი – ბადრი ჯიმშელეიშვილი არის ჩემი კურსელის მამა და აქედან მოვხვდით გუნდშიც. პირველად 2015 წელს წავედით პრაღაში გუნდთან ერთად გასტროლზე, ხოლო 2019 წელს პოლონეთსა და ბელარუსში ვიმოგზაურეთ, სადაც ჩავატარეთ ბევრი კონცერტი სხვადასხვა ქალაქში და მოვიპოვეთ ფულადი ჯილდო და პრიზები.

– ამ ცოტა ხნის წინ ყვარლელებისთვის ცნობილი გახდა თქვენი უდიდესი წარმატება თქვენს გუნდთან ერთად დიდ ბრიტანეთში გასტროლებზე ყოფნის დროს. ორივე სოლოს შემსრულებელი იყავით. გვიამბეთ ვრცლად თქვენი მოგზაურობისა და შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველისათვის.

– ელენე – 2022 წლის ივლისის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში გვქონდა გასტროლი და უელსის აუდიტორიის წინაშე წარდგენილებმა ღია გუნდის კატეგორიაში მოვიპოვეთ მესამე ადგილი ლანგოლენის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე. 20-დღიანი ტურნეს ფარგლებში, უელსის ფესტივალის გარდა კონცერტები გავმართეთ შოტლანდიაში, კერძოდ ედინბურგში და სენტ ენდრიუსში, ასევე ინგლისის ქალაქებში – ლანკასტერში, მორკემბში, ნორიჯსა და სხვა ქალაქებში. შოტლანდიის ქალაქებიდან ასევე მოვინახულეთ გლაზგო, ხოლო ინგლისის ქალაქებიდან დავთვალიერეთ ლივერპული და ლონდონიც. მინდა აღვნიშნო, რომ სასიხარულო იყო ლივერპულში ბიტლსის მუზეუმის, ლივერპულის საფეხბურთო გუნდის სტადიონის – ანფილდის ნახვა და ლონდონის 135 მეტრიან ეგრედწოდებულ „ლონდონის თვალზე“ დაჯდომა, რაც ბავშვობიდანვე ოცნებად გვქონდა ქცეული. ჩვენი გუნდის პროგრამა კონცერტების გარდა მოიცავდა ვორქშოფებსა და სიმღერებს ადგილობრივ გუნდებთან ერთად, რომლებიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებენ ედინბურგში, ნორიჯში, მოურკამბსა და ლონდონში. ჩვენ ამ გუნდებს ვხვდებოდით, ერთად ვმღეროდით, ვასწავლიდით და ისინიც გვიმღეროდნენ. მათ დიდი სიყვარული აქვთ ქართული ხალხური სიმღერების მიმართ. ზოგიერთი, მაყურებლებიდან თვალებდასხუჭული გვისმენდა და თავს აქნევდა, ანუ გამოხატავდა, რომ არც კი სჯეროდა ასეთ სიამოვნებას რომ იღებდა. თავს კარგად გვაგრძნობინებს ხოლმე მაყურებლის ასეთი ემოციები. ქართული ხალხური სიმღერები თურმე პოპულარული გახდა დიდ ბრიტანეთში მას შემდეგ, რაც 1990-იან წლებში ფოლკლორისტმა ედიშერ გარაყანიძემ იმოგზაურა ბრიტანეთში და ქართული კულტურა და ხალხური სიმღერები გაავრცელა. მან 60-მდე ქართული სიმღერა შეასწავლა ინგლისელ მუსიკოს მოყვარულებს ლონდონში, კარდიფში, კემბრიჯსა და ნორიჯში. უელსის ფესტივალზე ჩვენმა გუნდმა შეასრულა სამი ქართული ხალხური სიმღერა, იმერეთის, აფხაზეთისა და კახეთის რეგიონებიდან, მათ შორის „ნამგალო“, რომლის სოლისტიც არის ნესტანი. სიმღერები და ინტერვიუ გუნდთან გააშუქა უელსურმა ადგილობრივმა მედიამ s4c-მ. ფესტივალზე გარდა საქართველოსი მონაწილეობდნენ გუნდები შეერთებული შტატებიდან, სლოვაკეთიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან, უელსიდან, ირლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. იმ დიდ გაშლილ ველზე, სადაც ტარდებოდა ეს ფესტივალი, მონაწილე ქვეყნების დროშები იყო აღმართული, მათ შორის სიამაყით ფრიალებდა საქართველოს დროშაც. ფესტივალი ტარდება 1947 წლიდან, როგორც „კულტურული წამალი“ მეორე მსოფლიო ომის ჭრილობების შემდეგ. ფესტივალმა მას შემდეგ უმასპინძლა 400 000-ზე მეტ კონკურსანტს, რომლებიც წარმოადგენდნენ 140-ზე მეტ ეროვნებას, მათ შორის იყო საქვეყნოდ ცნობილი იტალიელი ოპერის მომღერალი ლუჩიანო პავაროტი.

– ელენე – ლანკასტერში, ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით, ერთ პატარა ქალაქში მოვინახულეთ ისტორიული კოშკი. მის ეზოში, ერთ მხარეს კიბეები ადის ქვის კედლებით ნაშენებ სივრცეში, სადაც შევედით და დაგვხვდა გასაოცარი სურათი.. თეთრ, გრძელ მოსაცმელში გამოწყობილი ძალიან მშვიდი, თეთრთმიანი და თეთრულვაშიანი კაცი ქვაზე მუშაობდა. ირგვლივ შეამჩნევდით ბიუსტებსა და ქვის სხვადასხვა ფიგურებს. კაცი მშვიდად განაგრძობდა მუშაობას, ისე რომ თავიდან ვერც კი შეამჩნია როგორ შევედით ასე ათამდე ქართველი მის სამფლობელოში. გასაოცარი იყო ის, რომ იმის მოლოდინში, თუ როდის გამოიხედავდა იგი ჩვენკენ, შემოგვესმა ქართული სიტყვები „შენი ჭირიმე გუთანო“...და ვიცანით ჰამლეტ გონაშვილის ხმა. შუა ლანკასტერში, ინგლისში. გავოცდით, ქართული სიმღერის ჰანგები ფონად გასდევდა ალანის (როგორც შემდეგ შევიტყვეთ მისი სახელი) საქმიანობას. ბოლოს, როგორც იქნა ალანმა შეგვამჩნია, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელი კი სიმღერას აჰყვა და ჩვენი გუნდის ბანებმა და მან არაჩვეულებრივად შეასრულეს ჰამლეტ გონაშვილის „ოროველა“. ალანი ძალიან მშვიდად, თავჩახრილი ისმენდა სიმღერას. ბოლოს კი გვითხრა, რომ ვერ იჯერებდა ამ ყველაფერს, რადგან ამ სიმღერას ყოველდღე უსმენს და ახლა კი ცოცხალი შესრულება მოისმინა. ბოლოს, ჰამლეტ გონაშვილის სიმღერების დისკიც გვაჩვენა და ისიც კი მოგვიყვა თუ როგორ ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე ამ ლეგენდარულმა მომღერალმა. ჩვენ კი ავუხსენით, რომ საქართველოში ის იწოდება როგორც „საქართველოს ხმა“.

– ნესტანი – გამოსვლები/კონცერტები/შეხვედრები ყოველ დღე გვქონდა თითქმის, ზოგჯერ დღეში ორჯერაც. ადგილობრივ ოჯახებში მასპინძლებმა თბილად მიგვიღეს. ყველა მათგანი მუსიკოსი იყო და ვის სახლში რომელ ინსტრუმენტს ნავაწყდი უკვე ველარ ვიხსენებ. ნორვიჩის მასპინძლები დილით ვიოლინოს და აპალაჩურ დულციმერს (Appalachian dulcimer) უკრავდნენ დუეტში. მათი ბგერები ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. ასე მხიარულად და მელოდიურად ვიწყებდით დღეს. მასპინძლებთან ერთად გატარებული მუსიკალური მომენტები ტურის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ნაწილი იყო. ჩვენი მასპინძლების შვილები მათთან ერთად არ ცხოვრობდნენ, ზოგი მოგზაურობდა, ზოგი სხვა ქალაქში ცხოვრობდა, ზოგი სხვა ქვეყანაში. ერთ-ერთის შვილი ავსტრალიაში ჩარჩენილა პანდემიის დროს 2 წელი, მე ვიკითხე ავსტრალიური აქცენტი ხომ არ „აიკიდა“ მეთქი და არა, მანჩესტერული მაგარი აქცენტი აქვს გამჯდარიო. ეს მოურკამბის მასპინძელზეა საუბარი, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე და ოთახის ყველა კუთხეში მუსიკალური ინსტრუმენტები ელაგა, ზოგი 100 წელზე მეტი ხნის და მოძველებული, მაგრამ ძირითადად მოქმედი ინსტრუმენტები – როგორიცაა აკუსტიკური, კლასიკური და ელექტრო გიტარები, ფორტეპიანო, არფა, დასარტყამი ინდური ინსტრუმენტები, უკულელეები, ჩასაბერი რკინის ინსტრუმენტები და კიდევ ბევრი სხვა, რომელთა დასახელებაც არ ვიცი. ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში სულ ერთხელ წამოწინწკლა ედინბურგში და ხუთი წუთით იწვიმა ლანკასტერში. მზე დაგვყვებოდა თან და ასეთი ამინდები იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც უკვირდა, ძალიან უჩვეულოაო – ამბობდნენ. ბოლოს ისე დაცხა ლონდონში, რომ საზოგადო ტრანსპორტში განხცადებები იყო გამოკრული, რომ თავი შეგვეკავებინა ქალაქში გადაადგილებისგან, თუ ეს აუცილებელი არ იყო. ასევე, თან გვქონდა წყლით სავსე ბოთლი. ტემპერატურამ 38-39 გრადუსს მიაღწია ლონდონში და მართლაც გაუსაძლისად ცხელოდა ამ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარე კუნძულზე. ისე, ყველა ბინა და სახლი თითქმის ერთ სტილშია გადაწყვეტილი, 2-3 სართულიანი ბინები შიდა, მაგრამ ისეთი ვიწრო და დამრეცი კიბით, ყველა საფეხურზე სიფრთხილით რომ უნდა დაადგა ფეხი ჩამოსვლისას. ბევრი სართულზე სასტუმრო ოთახებით, ნათელი, დიდი ფანჯრებით და თეთრი კედლებით. ალბათ 10-15-მდე ოჯახის სახლი თუ ბინა ვნახე (სოფელშიც და ქალაქშიც) და არცერთი მათგანი არ იყო დაუსრულებელი ან გასარემონტებელი. აი კიდევ ერთი სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ყველა მათგანი აღჭურვილი იყო საჭირო თუ არასაჭირო ტექნიკით, კომფორტული ავეჯით და ლამაზი დეკორაციებით. და რაც მთავარია, სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის? თავისუფლება, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და კონტროლი. სხვა ადამიანების ცხოვრებაში მინიმალური ჩარევა რჩევის სახით, და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ცხოვრების განსჯა. საკუთარი და სხვების უფლებების ცოდნა და პატივისცემა. უმრავლესობა ცხოვრობს ისე, როგორც თავად სურს, იციან ზომიერება და საზღვრები. რა კარგია, მხოლოდ ამიტომ მიყვარს ხოლმე ასეთ ქვეყნებში მოხვედრა, სადაც იციან სხვისი აზრის, გადაწყვეტილების და ცხოვრების პატივისცემა და საკუთარით ტკბობა.

აი ასეთი გახლდათ ჩვენი ევროპული ტურნე და ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ ჩვენში უფრო იმძლავრა სურვილმა – მომავალმა თაობამ ვიცხოვროთ ევროპულად და ლაღად ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

– გმადლობთ ინტერვიუსთვის და გისურვებთ კვლავ და კვლავ წარმატებებს თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში და მომავალში კი ოჯახურ ბედნიერებას. გევლოთ სულ წარმატებული გზით.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

ველომსვლელობა – მშვიდობის წრე „ილიას ტბაზე“

20 აგვისტოს, გაიმართა ველომსვლელობა – „მშვიდობის წრე ილიას ტბაზე“, რომელიც მიეძღვნა მშვიდობას მსოფლიოში. აღნიშნული ღონისძიება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და „ასოციაცია საქართველოს საზოგადოება“-ს ორგანიზებით ჩატარდა.

ველომსვლელობაზე წარმოდგენილი იყო უნიკალური, ვინტაჟური, სპორტული და ტრეკის ველოსიპედების კოლექცია.

ღონისძიების მონაწილეებმა ერთიანი მსვლელობით სიმბოლური წრე დაარტყეს „ილიას ტბას“.

შოთა რუსთაველი

თამარ მეფე ხშირად მართავს პოეზიის დღეს. იკრიბებიან პოეტები და უცხო სტუმრები. ყველა თავისი ლექსით ხოტბას ასხამს თამარ მეფეს, გმირობას, სიყვარულს, სიკეთეს, სამშობლოს, რომელიც უკეთეს ლექსს იტყვის და პირველობას დაიჩემებს მას შესაფერისად აჯილდოებს თამარ მეფე და ამით იმ პოეტის სახელი უცბად მოეფინება მსმენელს, მოტრფიალე პოეზიის თაყვანისმცემლები, უმეტესი პოეტები თვით თამარ მეფეს უძღვნიან ლექსს. ერთმა პოეტმა ზუსტად ისე გარითმა ლექსი, როგორც წინა პოეზიის დღეს იხილა თამარ მეფე – თეთრი, მოცისფრო კაბაში გამოწყობილი ოქროთი მოჭედილი ძვირფასი სამკაულით, ოქროს გვირგვინით, მაღალი ყელი, გადაკალმული წარბი, გრძელი წამწამები, ბაგე ტუჩი ვარდისფერი, ფერმკრთალი ფერი, ლამაზი, მოელვარე თვალი, გრძელი დაშვებული შავი თმით, თითქოს თვით მეორე თამარ მეფე დაუხატავს, მოწონება დაიმსახურა ამ ლექსმა და პოეტმა, ტაში მიაგებეს, შეაქეს. თამარ მეფემ მადლობა მოახსენა, დაჯილდოვა, მიულოცა გამარჯვება, – გილოცავთ გამარჯვებას!

თამარ მეფეს ვერ აკმაყოფილებს ეს ლექსი, რადგან თითქოს ერთი სტილი იყო, რაღაც განსხვავებულს და განსაკუთრებულს ელის, მაგრამ ვინ იცის? თითქოს უნდა შეეგუოს ამას, რადგან ყველა პოეტი კარგად იცის და ესმის მათი, მათგან სხვას რაღას უნდა მოელოდეს. ეს დღე დამთავრდა. თამარ მეფეს, პოეზიის ტრფიალს მაინც სხვა წიგნიდან უხდება თითქოს ყოველ დღე ლექსთა ნახვა, მას სეფე ქალები უკითხავენ, ბევრი ლექსი ზეპირად იცის და ხშირად თვითონ აბოლოებს ამა თუ იმ ლექსის თქმას, ამბობს დახვეწილად, მთელი გრძნობით მართლა პოეტურად, რომ ხან თავისი თავი თვითონ უკვირს, აკი ხომ თვითონ დაწერა რამდენიმე ლექსი ეს ისე თავისთვის გამხელა საზოგადოდ რა ბედენა იყო, რადგან არ ეთქვათ, ან არ ეფიქრათ – მეფეა და უნდა შევუქოთ, სხვა გზა არ არის, ან მეფობა არ აკმარა, რომ პოეტობა დაიწყო! – თუ თავს ამის უფლებას მისცემს, მაშინ იმ პოეტებს გადააჭარბებთ, – თურმე კაცის გული რამდენს იტევს. მოთმინება და ზომიერება ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისებაა, – ფიქრობს თამარ მეფე, – ნუთუ ყოველთვის ასე იქნება პოეზიის დღე? მას სურს თავის ქვეყანას, საქართველოს იმდენი პოეტი ჰყავდეს, რომ საქართველოს სახელი რაც შეიძლება შორს წასულიყო, მტრის ჯინაზე საქართველო პოეზიის ქვეყნად, პოეტების სამფლობელოდ ეცნოთ, ყოველთვის საქართველო, ქართველობა იყიდებოდა, მტრები თელავდნენ და პოეზიით პოეტებს თავისი შედევრით ვერავინ ვერ შეძლებს ყიდვა გაყიდვას, ნეტავ ასრულდეს ჩემი ნატვრა! – მას ამ ფიქრით ჩაეძინა, სიზმრად მოევლინა თეთრ წვერა მამაკაცი, თეთრი ტანსაცმლით, თეთრი ცხენით, ხელში დიდი ჯვრით მას ხმამაღლა ესაუბრა – თამარ მეფე შვილო, შენი ნატვრა აღსრულდება! – გაეღვიძა, ვერ გაიგო რას ნიშნავს ყოველივე ირწმუნოს? გადის დღეები, კიდევ მოახლოვდა „პოეზიის დღე“, მრავალი სტუმარი და მსმენელია მოსული, თამარ მეფეს სიზმარი გაახსენდა, – გაეღიმა თავისთვის ჩუმად.

მართლაც გამოდის ერთი პოეტი და იქ დამსწრეთ აცნობს თავს: – შოთა რუსთაველი! – და მოჰყვა პოემას: – „ვეფხისტყაოსანი!“ – თქმამ გააოცა თამარ მეფე. იგი მთელი არსებით უსმენს, ასეთი შედევრი იშვიათია, ტაში შეაგებეს, დიდხანს გაგრძელდა პოეზიის დღე, თვითონ თამარ მეფემ უბოძა პირველობა – მადლობა! – მოახსენა, დაჯილდოვა – შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნისთვის“.

მერი პატარაძლიშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2

საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86